კვალი

X წ. ყოველკვირეული გაზეთი. X წ.

№ 17 კვირა, 21 აპრილი 1902 წლისა. № 17

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისს გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების" კანცელარიაში და „კვალის" რედაქციაში, ბარონის ქუჩაზე, № 27. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ".

შინაარსი: მეცნიერება, X.-სა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენცია.—ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა, Z.-სა.—მაწანწალა, მ. გორკისა.—*** ლექსი, დ. თომაშვილისა.—საზღვარ-გარეთ.—წერილი ბელგიიდან, N.-სა.—რუსეთის ცხოვრება.—საშობლოს ცაზე, რიგოლეტოსი.—თავისუფლება ნებისა, თუ აუცილებლობა? ი. გომართელისა.—წერილი რედაქციის მიმართ.

„**კვალის**" რედაქცია გადავიდა ბარონის ქუჩაზე, სახლი № 27 ბ-ნ მარტიროსოვის შენობაში.

მეცნიერება.

1. კარლ ფონ-ბერი.

ცხოვრება მეტად რთული და მრავალფეროვანია. აქ გადახლართულია ათასი სხვა-და-სხვა მოვლენა და მათი ურთიერთი გავლენა ხშირათ კაცისთვის შეუმჩნეველი რჩება. აბა როგორ იფიქრებთ, რომ უმეცრება, ესე იგი, ცრუ ცოდნა იყოს ერთი პირობათაგანი ადამიანის დაბეჩავებისა. ცხოვრების საზოგადო განვითარება, საზოგადო ევოლიუცია ერთ და იმავე დროს ნიშნავს ადამიანის სვლას განთავისუფლების გზაზე. ის თავისუფლდება როგორც საზოგადოებრივი, ისე გონებრივი მხრით. ამ განთავისუფლებისაკენ მსვლელობაში მეტად საპატიო ადგილი უჭირავს ბუნების მეტყველებას. მართალია, ეს მეტად რთული მეცნიერება საშუალ მკითხველებისთვის არა სავსებით მისაწდომია, მარა სამაგიეროთ ამ მეცნიერებას აქვს ძირითადი კანონები, ძირითადი პრინციპები, რომელთა შეთვისება და შეგნება ბევრათ თუ ნაკლებათ ყოველ ადამიანს შეუძლია. და ეს შეგნება მეტად საჭიროა, რადგან ეს მეცნიერება არის ნამდვილი, ესე იგი ცდაზე და დაკვირ-ვებაზე დამყარებული. აქ თქვენ გონებას კი არ იმორჩილებენ თქვენი გრძნობის ზეგავლენით, ესე იგი, კი არ სარგებლობენ გრძნობით, რომ გონება დაიმორჩილონ და ფუჭე და ხშირათ მავნე ილუზიებით შებოჭონ ის. არა, აქ თქვენ თვითონ შეგიძლიათ დარწმუნდეთ ყოველი ნაბიჯის სიმართლეში. ამიტომ ბუნებისმეტყველებას ორნაირი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ის წმენდს ჩვენ გონებას ცრუ ცოდნისაგან, ასე ვთქვათ, დეზინფექციას ახდენს ჩვენ გონებაში, მეორე მხრით მკვიდრ საფუძველს გვაძლევს ბუნების მრავალფეროვან მოვლენათა შესაგნებლათ. აქ მეტად საგულისხმიეროა ერთი ფაქტი, რომელსაც საყოველთაო მნიშვნელობა აქვს. ადამიანს მუდამ გადამეტებული წარმოდგენა ჰქონდა თავის თავზე. ის ფიქრობდა—მე ვარ ცენტრი, ღვთაებრივი ძალის ნაწილი, და ყოველივე ჩემ გარშემო ტრიალებს, ყველაფერი ჩემთვისაა გაჩენილიო, ამიტომ ის და გარეშე ბუნება—ეს ორი სხვა-და-სხვა ძალა იყო. ერთი მხრით ადამიანი, მეორე მხრით—მისი საჭიროითო მოედანი, მისთვის მოწყობილი ბუნება. ბუნებისმეტყველებამ მოაშორა ადამიანს ეს მედიდურობა და დაუმორჩილა ის საერთო განვითარების კანონებს. ეს ჭეშმარიტი შეგნება თავისთავის ადამიანმა მოახერხა სავსებით მხოლოთ გასულ საუკუნეში. ამ საუკუნემ ბუნებისმეტყველებას მისცა ბევრი გამოჩენილი მუშა და მათ შორის ერთი საპატიო ადგილი უჭერია კარლ ფონ-ბერსაც.



კარლ ფონ-ბერი.

აქ ჩვენ არ შევეხებით [illegible]ერის ცხოვრებას, რადგან ის მეტათ მარტივი და მშვიდობიანი იყო. ფონ-ბერი დაიბადა 1792 წ. და გადაიცვალა 1876 წ. ამ ხანგრძლივი ცხოვრების დროს ის მუდმივ შრომობდა, მუდმივ იღვწოდა თავის მეცნიერებისათვის და გარეშე, საზოგადო ხასიათის მოვლენები ნაკლებათ იქცევდა მის ყურადღებას. ფონ-ბერი იყო მეტათ მრავალ-მხრივი მეცნიერი. მან თვალსაჩინო განძი შეიტანა მეცნიერების ბევრ დარგში, მარა ყველაზე უფრო დიდ-მნიშვნელოვანი იყო მისი გამოკვლევანი ემბრიოლოგიაში. ემბრიოლოგიურ ცნობებს უკვე არისტოტელმა მიაქცია ყურადღება, საშუალო საუკუნის მეცნიერთაც შეიტანეს თავისი წვლილი ემბრიოლოგიურ ცოდნაში. მარა მაშინდელი დაკვირვება იმდენათ სუსტი იყო, რომ დაკვირვება დაკვირვებათ რჩებოდა, ხოლო თითონ მეცნიერნი ოცნებას თავისუფლებას აძლევდენ და სრულიათ უსაფუძვლო თეორიებს ქმნიდენ. მე-XVII და XVIII საუკუნეში გამეფებული იყო ერთი თეორია. ამ თეორიის ძალით მომავალი ორგანიზმი სრულიათ დასრულებული იყო ჩანასახში ყველა თავისი ნაწილებით. მაშინ ამბობდენ: თუ ამ ნაწილებს ჩანასახის განვითარების პირველ საფეხურებზე ვერ ვხედავთ, იმიტომ კი არა, რომ მართლა არ იყოს ნაწილები, არა, ისინი გამჭვირვალენი არიან და იმიტომ ვერ ვამჩნევთო. ამ თეორიიდან პირდაპირ გამომდინარეობდა ის დასკვნაც, თითქო პაწაწკინტელა ჩანასახში მომწყვდეული სულ ყველა შემდეგ თაობის ჩანასახებიც. ამასთან იმ დროინდელი ნატურალისტები ცდილობდენ ყოველი თავისი თეორია შეეთანხმებიათ საღვთო წერილისათვის. ამიტომ ზოგი მოცლილი ადამიანები იმის გამოანგარიშებაში იყვნენ, თუ რამდენი ჩანასახი იქნებოდა ადამიანთა წარმომშობ ევაში. მათი გამოთვლით დაახლოვებით 200,000 მილიონი უნდა ყოფილიყო. აი ასეთ უსაფუძვლო ოცნებებს ატანდენ გულს მაშინდელი მკვლევარნი. მხოლოთ მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ბერლინელმა ექიმმა კასპარ ვოლფმა გამოაქვეყნა თხზულება „Theoria Generationis“. ეს გამოკვლევა დაედვა საფუძვლათ ეპიგენეზისის თეორიას. ეს თეორია გვასწავლის, რომ ჩანასახის ორგანოები თანდათან ჩნდებიან და ირკვევიან სადა, ორგანიულ ფორმას მოკლებულ საფუძვლისაგან. ამავე ვოლფმა დაგვანახვა, რომ ჩანასახი შედგება პატარა ფურცლებისაგან, ანუ ფენებისაგან, და თვითოეული ფენა ამა თუ იმ ორგანოს გასავითარებლათაა მიჩენილი. მარა ვოლფის გამოკვლევებმა თავის დროზე არ მიიქციეს შესაფერი ყურადღება. მხოლოთ შემდეგ ფონ-ბერმა დაამკვიდრა ამ მეცნიერის აზრები. მის დროში ემბრიოლოგები მეტის გულმოდგენით ათვალიერებდენ წიწილის განვითარებას, რადგან აქ ძალიან ადვილია თვალ-ყურის დევნება. ამ დაკვირვებას მიყო ხელი ბერმაც. და ჩქარა შენიშნა მან, რომ ჩანასახი ვითარდება თავის ტიპის მიხედვით, რომ მისი განვითარება ადგია იმ ძირითად გეგმას, რომელზედაც ამა თუ იმ კლასის ორგანიზმის სხეულია აგებული. შემდეგ იმან მიმართა სხვა ხერხემლიან ცხოველებსაც. ამათ განვითარებაშიც დაინახა სრული დამტკიცება თავის აზრისა. რა განსხვავებაც არ არსებობდეს ხერხემლიანთა შორის, აიღებთ ძუძუმწოვართ, ფრინველს, ან თევზს, ყოველგან განვითარება ერთ და იმავე გეგმით ხდება, ამ ნაირათ ბერმა ნათლათ გამოარკვია ემბრიოლოგიის ძირითადი პროცესები. ბერი კითხულობს: რაში გამოიხატება განვითარების ძირითადი თვისებაო? და უპასუხებს: ყოველი განვითარება არის წინეთ არსებულის გარდაქმნაო. რას ნიშნავს ეს? განვითარების პროცესში ყოველი ახალი ორგანო ჩნდება წინანდელ უფრო სადა საფუძვლისაგან. ასე, მაგ., ფილტვი ჩნდება წინეთ სადა საჭმლის მილის გამობერვით. თვალი ჩდება ტვინის აპკის გამომწვალვით, სასმენი არეს, ანუ ლაბირინტის გაჩენათ კანი ჩაიზნიქება, ამ ნაირათ შედგება პატარა პარკი, რომელიც შემდეგ [illegible]ლიათ მოწყდება კანს. აი აქ ჩვენ ვხედავთ, რომ განვითარება არის თანდათანი მსვლელობა საზოგადოდან განკერძოებისაკენ, აი ამას ქვია მეცნიერებაში დიფერენციაცია [illegible] მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს ბიოლოგიაში [illegible] ლითათ, როგორ უჩნდება ჩთამომავლობას ისეთი ორგანო, რომელიც წინაპარს არ ქონია. ამის პასუხს ჩვენ ვპოვებთ მარტო ემბრიოლოგიაში. როგორც ჩანასახს თავდაპირველათ არ გააჩნია ბევრი განსაკუთრებული ორგანო და ეს ორგანოები მხოლოთ თან და თან ჩნდებიან სადა საფუძვლისაგან, ისე ხდება ცხოველის გვაროვნობის განვითარებაშიაც. ახალი ორგანო უეცრათ კი არა ჩნდება, არამედ ის არის შედეგი თანდათან გამოკერძოვების, დიფერენციაციის უფრო სადა და ზოგადი ორგანოისა, რომელიც მის წინაპარს ქონდა. მაგალითათ, ფილტვები გაჩნდენ საცურავი ბუშტის გარდაქმნით. დიფერენციაციის პრინციპის დამკვიდრებამ სავსებით დააფუძნა ეპიგენეზისის პრინციპიც.

მეორე საზოგადო კანონი ბერისა გვეუბნება: ინდივიდუუმის განვითარების ისტორია არის ყოველ მხრივათ თავისებურობის, ინდივიდუალობის ზრდის ისტორია. ავხსნათ ეს. ცხოველთა შორის სულ რამდენიმე ტიპია, ესე იგი მთელ ცხოველთა სამეფო აგებულია რამდენიმე გეგმით, მაგ. ხერხემლიანთა ტიპი, მოლუსკთა ტიპი და სხვა. როცა ცხოველი ჩანასახის ფორმით იწყებს ვითარებას, თავდაპირველათ თქვენ მხოლოთ ის შეგიძლიათ თქვათ, თუ რომელ ტიპს ეკუთვნის იგი, ესე იგი ხერხემლიანია, მოლუსკი, თუ სხვა. მარა ჯერ კი არ შეგიძლიათ გამოიცნოთ, თუ რომელი ხერხემლიანია ის. შემდეგ თანდათან გამოაჩნდება ამა თუ იმ კლასის ნიშნები; ასე, მაგალითათ, თუ ჩვენი დაკვირვების საგანი ხერხემლიანია, მაშინ შევნიშნავთ, ეს ხერხემლიანი ფრინველია, ძუძუმწოვარია, თუ სხვა. კიდევ უფრო გვიან გამოჩნდება რაზმის, ოჯახობის, გვარეულობის, მოდგმის ნიშნები და მხოლოთ შემდეგ, როცა ყველა ამ სტადიას განვლის, გამოჩნდება ნამდვილი ინდივიდუალური ნიშნები. ამ ნაირათ, როგორც ვხედავთ, ბერმა მოუმზადა ნიადაგი ერთ შესანიშნავ კანონს, რომელსაც ბიოგენეტიური კანონი ქვია.

ცხოველთა სამეფოს განვითარების შესასწავლათ ორი გზა არსებობს. ჩვენ ვიცით, რომ ყოველი ცხოველი სიკვდილის შემდეგ ამა თუ იმ კვალს ტოვებს. მისი ნაშთი ასე თუ ისე ინახება დედამიწის გულში. მეცნიერნიც შეუდგენ ამ მიწაში გამომწყვდეულ ნაშთთა შესწავლას და ამ ნაირათ გაჩნდა მთელი მეცნიერება — პალეონტოლოგია. ამ მეცნიერებამ დაგვანახვა, რომ რამდენათ უფრო ღრმათ მივდივართ დედამიწაში, იმდენათ უფრო სადა აგებულობის ცხოველებს ვხვდებით. ასე, მაგალითათ, ხერხემლიანთა შორის სულ ქვევით შეხვდებით თევზს, ამფიბიებს, შემდეგ მცოცავს, ფრინველებს, და ბოლოს ძუძუმწოვართ. აქედან ჩვენ ის დასკვნა გამოგვყავს, რომ ცხოველთა სამეფოს განვითარება საზოგადოთ მიდიოდა უფრო სადა ფორმებიდან, უფრო რთულ ფორმებისაკენ. ამას ქვია საზოგადო, გვარეულობითი განვითარების ისტორია, ანუ ფილოგენეზისი. თვითეული ინდივიდუუმის განვითარებას კი უწოდებენ ონტოგენეზისს. ფილოგენეზისსა და ონტოგენეზისის შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. ყოველი ცხოველი თავის ინდივიდუალურ განვითარებაში გაივლის ყველა იმ საფეხურებს, რომელნიც გაუვლიათ მის წინაპრებს, ესე იგი, მაგ., უმაღლესი ცოცხალი არსება, ადამიანი თავის, განვითარების ერთ საფეხურზე არ გაირჩევა თევზისაგან, მეორეზე ფრინველისგან, მესამეზე ძროხისგან და ასე. ამ ნაირათ „ონტოგენეზისი, ანუ ერთეული ცხოველის განვითარება, არის მოკლე და ჩქარი, მემკვიდრეობითი და შეგუების კანონით

გამოწვეული გამეორება ფილოგენეზისისა, ანუ შესაფერ თაობის განვითარების, ესე-იგი იმ წინაპართა, რომელნიც წარმოადგენენ ერთ ჯაჭვს ამა თუ იმ ინდივიდუუმის ისტორიულ განვითარებაში“.

X.

სხვა-და-სხვა ამბები.

ბაქოს სამაზრო სასამართლოს ამ ჟამათ ქონია გასარჩევათ 6,400 საქმე. ამ საქმეთა შორის ყოფილან ისეთებიც, რომელნიც შეტანილია გასარჩევათ 1895 წლიდან.

კუბანის ეკონომიურ საზოგადოების საბჭომ აუწყა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომ მომავალ სექტემბერში იხსნება სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა და სთხოვა, რომ ხსენებულ სამეურნეო საზოგადოებამ ჯილდოები დაუნიშნოს ექსპონენტებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ გამოფენაში.

ქალაქის საექიმო-სასანიტარო საბჭომ გადაწყვიტა მოაწყოს ღამით ექიმების მორიგეობა თავის ცენტრალურ საავადმყოფოსა და განყოფილებებში. ღამით მორიგეობაში საქალაქო ექიმებს განსაკუთრებულ ჯილდოს მიცემენ, ისე რომ ექიმებმა მუქთათ უნდა გაუწიონ დახმარება ხელმოკლე მცხოვრებთ. ეს დადგენილება დასამტკიცებლათ საბჭოს წარედგინა.

სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების კრება დანიშნულია არტისტიულ საზოგადოების დარბაზში 27 აპრილს.

„ჩერნ. ვესტნიკი“ წერს: სარწმუნო წყაროებიდან შეიტყეთ, რომ ქუთაისის გუბერნიის ორ ნაწილად გაყოფა მალე ასრულდება, სახელდობრ ამ წლის დასრულებამდეო. როგორც იცრან მკითხველებმა, ხსენებულ გუბერნიიდან გამოიყოფება ბათუმისა და ართვინის მაზრები და დაარსდება განსაკუთრებული ბათუმის ოლქი.

გაზეთების სიტყვით, პეტერბურგში ახლახან გამართულ საოჯახო მრეწველობის გამოფენაზე ყურადღება მიუქცევიათ კავკასიის საოჯახო მრეწველობის ნაწარმოებზე. ერთ ჰამბურგელ ფირმას „გოტინგ და ამხ.“ კიდეც გამოუგზავნია წარმომადგენლები ჩვენებურ ზოგიერთ ნაწარმოებთა გასაცნობათ და საყიდლათაც.

კავკასიის საექიმო საზოგადოების წლიური კრება მოხდება ხუთშაბათს, 25 აპრილს.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა გამოცა ბძანება, რომ ის ბირნი, რომელნიც დროებით განთავისუფლებულ იქნებიან სამსახურიდან, სამსახურში უნდა გამოცხადდენ უეჭველათ ვადის უკანასკნელ დღეს; ხოლო თუ ავადოფობის გამო ეს შეუძლებელია, მაშინ უნდა წარმოადგინოს ექიმის მოწმობა. არ მიიღება მოწმობა თავის უფალ ბრაქტიკის ექიმისაგან მიცემული. ასეთი მოწმობა შეუძლია წარმოადგინოს მან მხოლოთ რკინის გზის, ქალაქის საავადოფოების, მაზრის, ერობის, სოფლის, კურორტების გამგეების, სამხედრო და კლინიკებში მოსამსახურე ექიმებისაგან. იმ ბირს, რომელიც წარმოადგენს თავისუფალ ბრაქტიკის ექიმის მოწმობას გადახდება ჯარიმა: გამოერიცხება ჯამაგირი ოფველ გაცდენილ დღეზე.

შიმაკალი ზაფხულისთვის განზრახვა აქვთ ჭიათურაში მოახდინონ კრება შავი ქვის მრეწველთა. ამ კრებაზე ფიქრობენ, სხვათა შორის, იქონიონ მსჯელობა, რომ ჭიათურაში დაარსდეს ექიმური დაბორატორია, ხაზინის განოფიდება, სკოლა შტეიგერებისა, ხუთას თუმანს გარდა კიდევ გადიდოს ფული სიბეჭოს, მიერ მოგროვილ მადიდებელთათვის ეკლესიის ასაშენებლათ, ეთხოვოს რკინის გზას, რომ მონაწილეობა მიიღოს ეკლესიის აშენებაში, გაშენდეს ჭიათურაში ბადი, ეთხოვოს მთავრობას, რომ ჭიათურა ბოსლათ იქნეს გადაქცეული, გადმოტანილ იქნეს სახეხურიდან ჭიათურაში კონტორა ნოტარიუსისა, გაძლიერდეს შტატი ბოდიციისა, დანიშნოს ცალკე კრებული ჭიათურის ეკლესიისათვის, გამართოს ჭიათურაში საქალაქო სასწავლებელი, გაგანიერდეს ჭიათურის ვიწრო დიანდგანი რკინის გზა, ან არა და განგრძობილ იქნეს ეს გზა ბათუმსა და ფოთამდე, რომ ჭიათურაში დატვირთული ვაგონები ბირდებირ მიდიოდეს ზემოხსენებულ ქალაქებამდე შორაპანში გადაუტვირთველათ, ჭიათურის სადგურზე იყიდებოდეს ბილეთები, გამოსადეგი მგზისტრალის რკინის გზაზედაც, აირჩეს ცალკე დეპუტატია და მიენდოს შუამდგომლობა, რომ დაკანონებულ იქნეს ტარიფი ჭიათურის გზაზე, მოემატოს ნახევარ კაპეიკით გადასახადს ჭიათურიდან გატანილს შავ ქვაზე ჩეტ-კაპეიკიცა, რათა მით გაძლიერდეს ძირის თანხა ჭიათურის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა და დაწესდეს ოფველწლივ მოწვევა შავი-ქვის მრეწველთა მორიგ კრებისა.

განსაკუთრებულმა კომისიამ შეიმუშავა ბროექტი და წესდება დაბალი სახელოსნო სასწავლებლის დასაარსებლათ ავლაბარში. ეს სასწავლებელი არსდება გადაცვალებულის ნატალია შიოკვის შემოწირულის თანხით. თანახმათ ბროექტისა, სასწავლებელი უნდა გაიხსნას მხოლოთ ხელოსნებისა და დარბა ხალხის შვილებისათვის. სასწავლებელში სწავლა სამი წლით იქნება, სამი კლასი. შეგირდები იქნებიან არა უმეტეს 120 კაცისა, ორმოცი-ორმოცი თითო კლასში. სავალდებულო სასწავლებელ საგანთა შორის იქნება: საზოგადოდ ცოდნა ფიზიკისა, სოფლისა-საქართველო კანონდებლობა, სახელოსნო მეცნიერება, სახაზ-სახატი ხელოვნება და სხვა. ხელოსნობა იქნება: ხარაზობა, დურგლობა, მჭედლობა, მეჩექმეობა და სხვა... სასწავლებელში მიიღებიან საქალაქო და ბირველ-დაწყებით სკოლებში სწავლა დამთავრებულები; ამოიგან—სომეხ-გრიგორიანები უფასოთ, ხოლო სხვა რჯულისა წელიწადში ათ მანეთათ. სასწავლებელს ჭირდება წელიწადში 7,000 მან., რომელსაც შიოკვისაგან ნაანდერძევი ქონების შემოსავალი კადაიხდის.

როგორც ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ სასტატისტიკო კომიტეტში წარდგენილ ცნობებიდგანა სჩანს, 1901 წელს ქალაქ ტფილისს შემოსავალი ქონია 1.357,838 მან. 37 კაპ., ხარჯი—1.297,899 მან. 90 კაპ. ქალაქის თავის მოადგილემ, შესტაკოვმა წინადადება შეიტანა გამგეობაში, რომ ქალაქმა ბატივი სცეს გამოჩენილ რუსის მწერლის ჟუკოვსკის სახელს. გამგეობამ, შემდეგ ურთიერთ შორის მოლაპარაკებისა, დადგინა: 1) 22 აბრილს ქალაქის ყველა სკოლებში ბანაშვილი კადაიხადონ ჟუკოვსკის სულის მოსახსენებლათ; 2) ყველა საქალაქო სკოლებში ჩამოკიდონ ჟუკოვსკის „კარგი“ ბორტრეტი; 3) ერთ არსებულ სკოლას დარქვას ჟუკოვსკის სახელი; 4) შუაგულ ქალაქში ერთ ქუჩასაც იმის სახელი დარქვას და 5) დურიგდეს შეგირდებს ივანოვსიანი გამოცემა ჟუკოვსკის თხზულებათა და სურათები, რისთვისაც გადაიხდის 300 მან.

იურიევის უნივერსიტეტში დექციების კითხვა გათავდება 15 მაისს. 15 მაისიდან დაიწყება საოფველთაო ეგზამენები და გაგრძელდება 10 ივნისამდე. 220 კაცზე მეტი დაითხოვეს უნივერსიტეტიდან, რადგან სწავლის ფული ვერ შეიტანეს.

„კვალის“ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნები: რუსულ ენაზე „ძველი ტაძარი მანგლისში“, ვ. მაკეევისა და „ბალავარ და იოდასაფ“ ქართული ტექსტი მე-XI და მე-XII საუკ. ხელნაწერისა

რუსულის თარგმანით და წინასიტყვაობით ბ-ნ ალ. ხახანაშვილისა. წიგნი შეიცავს 32 გვერდს, ფასის ბალეოგრაფიულის ნიმუშით; ღირს 60 კაპ.

გამოცხადებულია უმაღლესთ დამტკიცებული 1 აპრილს მართლმადიდებელთა სამრევლო სკოლების წესდება:

ახალ წესდების ძალით, სამრევლო სკოლები ორ-გვარი იქნება: დასწყისი სკოლები და სოსტატო. დასწყის სკოლებთ ითვლება წერა-კითხვის სკოლები და სამრევლო სკოლები—ერთ-კლასიანი, ორ-კლასიანი და საკვირაო (უმაწვილთა და მოზრდილთათვის), ხოლო სოსტატო სკოლებთ ითვლება: ზემოხსენებულნი მეორე ხარისხიანი და სამრევლო-სოსტატონი. წესდებაში განსაზღვრეთ არის ნაჩვენები სწავლების კურსი ყველა ამ სკოლებში და მასწავლებლების განათლების ტენზი. წერა-კითხვის სკოლებში ასწავლიან სამრეთო სჯულის დასწყისს, წერა-კითხვას, არითმეტიკის ოთხ მოქმედებას და საეკლესიო კალობას უნოტებოთ; სამრევლო-სოსტატო სკოლებში—მათემატიკას, საეკლესიო სამოქალაქო ისტორიას, დიდაქტიკას და სხვ. განათლების ტენზი, რომელიც მოეთხოვება წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელს მტირეა, მაგრამ სხვა სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის თანდათან ემატება, სკოლის ხარისხის მიხედვით.

მასწავლებელთა ჯამაგირი დწესებულია მათის შრომისა და სოფლის ოფა-ცხოვრების შესაფერი: უფროს მასწავლებელს სამრევლო სკოლისას დანიშნა 540 მან. წელიწადში მეორე ხარისხის სკოლის მასწავლებელს 480 მანეთი, კალობის სწავლებისათვის 200 მ., კალობისა და მუსიკის მასწავლებელს სამრევლო-სოსტატო სკოლაში 600 მან., ასზოგადო განათლების საგნების მასწავლებელს იმავე სკოლაში—900 მან., მეორე ხარისხის სკოლის გამგეს—360 მანეთი, ხოლო სამრევლო-სოსტატო სკოლის გამგეს —1,500 მან. ეს უკანასკნელი ჯამაგირი იმოდენია, რაც სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორისა. ჯამაგირი შესაფერათ მასწავლებლებს დანიშნებათ ბენსიატ.

მასწავლებელნი და მზრუნველნი ყველა სამრევლო სკოლებისა და აგრეთვე მოსწავლენი სამრევლო-სოსტატო სკოლებისა, სწავლის დროს და სწავლის დასრულების შემდეგაც, განთავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან. სამრევლო-სოსტატო სკოლაში სწავლებისათვის, თორმეტი წლის განმავლობაში, ებოძება ბინადის ბატივდებულის მოქალაქის ხარისხი. ორ-კლასიანი სამრევლო სკოლები და სამრევლო-სოსტატო სკოლები სამხედრო ბეგრის კანონის შესახებ ჩაირიცხება მეორე ხარისხის სასწავლებლათ, ხოლო ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლები მესამე ხარისხისა. ორკლასიანი სამრევლო სკოლის სწავლა დამთავრებულ შეგირდს მიეცემა მესამე ხარისხის შედეგთი სამხედრო ბეგრის კანონში; ხოლო სოსტატო სკოლისს,—იგივე უფლება, რაც სკოლაში შესვლამდე ქონდა. წიგნის ერის შემდეგ მხედრობაში ჩარიცხვა კანონდება სამრევლო სოსტატო სკოლის მოსწავლეთათვის კურსის შესასრულებლათ, თუ მოსწავლემ ისურვა, ოც და ორი წლოვანობის მიღწევამდე.

ახალი წესდებით განსაზღვრულია უწეებანი უწმიდესი სინოდის და საერო განათლების სამინისტროსი დასწყის სახალხო განათლების საქმის ორგანიზაციისა და კამეობის შესახებ, და მტკიცეთ მიჩნეულია უფლება და მოვალეობა დასწყის სკოლების გამგეთა ორისავე უწეებისა და მათი ურთიერთობა. ბირობანი და რიგი სახალხო დასწყის სკოლების დაარსებისა, ორისავე უწეებისა, იმ ადგილებში, სადაც უკვე არიან ასეთი სკოლები, განისაზღვრება იმ წესით, რომელიც დადგენილ იქნება უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორისა და საერო განათლების მინისტრის შეთანხმებით. („ბირჟ. ვედომ.“).

კორესპონდენცია.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. ერთმა ახუნჯმა ადამიანმა ქუთაისს „უპატრონო ქალაქი„ უწოდა და, როგორც ახლა ვუკვირდები, ასეთი ეპიტეტი სწორეთ ზედ გამოჯერილია ჩვენ კურთხეულ ქალაქზე. ოდესაც ქალაქს, რომელიც რა თქმა უნდა—„უპატრონოთ“ სიიდან ამოგდებულია, უფლებანი უნდა ქონდეს იმ ბირთა სია, რომელნიც ეკუთვნიან ყველა მზიდველები, მეტაწკე და მეურმეები ეწოდებათ და რომელთა ხაოფლარს ქალაქის ბიუჯეტში კარგი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. აი ამ ბირთა სია უნდა ქონდეს ქუთაისის თვითმართველობის კამეობასაც. ვამბობ. ასეთ სიას ითხოვს ერთი მხრით ქალაქის ინტერესები, მეორე მხრიო ის აუცილებლათ საჭირო მეეტლე-მეწყალეებისთვის, განსაკუთრებით უკანასკნელთათვის, რისთვის—ამას ქვემოთ დავინახავთ. თითოეული დასახელებული ბირთაგანი ყოველ წლით ქალაქის სასარგებლოთ იხდის განსაზღვრულ ბეგარას. ქალაქმა არ იცის ზემოხსენებულ ბირთა რიცხვი, მას არა აქვს სია, მას ეკვს მხოლოთ აგენტი, რომელიც ბეგარას კრებს. მიდის ეს ბირი უსიოთ ქუჩაზე, იჭერს მეწყალეს, მეურმეს, მიეკვს ის კამეობაში, სადაც ხვედრ ახდევინებს, სამაგალითოთ ბარათს იღებს და მიდის. გგოგიათ, რომ ამით თავდება ბეგარის გადახდის ტერემონია. ხშირათ ერთი და იგივე ბირი იძულებულია სამ-ოთხჯერ მოვიდეს კამეობაში, სამი ოთხი დღე კაცდინოს და თავის ისედაც ცალიერ ჯიბეს ოთხი დღის ნამუშევარი დუკარგოს.

ხშირათ მოდხება ხოლმე, რომ მეწყალე-მეურმეს კამეობისაგან მიცემული ბარათი ეკარგება; ბეგარის ამკრეფმა აგენტმა კი არ იცის მისი სახელი და გვარი, არც ის ასოდა—ეკუთვნის ხვედრი ოდენ თუ არა. იმავე ბირს, რომელმაც ქალაქის კასაში უკვე შეიტანა ხვედრი ბეგარა ხსენებული აგენტი ხელმეორეთ ხვდება ქუჩაზე მუშაობის დროს და ფულს თხოვს. მეწყალე რასაკვირველია უარზეა, ფული გადახდილი აქვს და შეშიც არაფრის აქვს. „თუ ფული გადახდილი გაქვს, მაშ კვიტანციაც გექნებაო“, ეკითხება აგენტი. თუ არ დაკარგვია და თან აქვს, ხომ კარგი, თუ არა და ვაი მისი ბრალი: წაათრევენ კამეობაში და მოელი სამი ოთხი საათი აეურეუტებენ, სანამ საკვიტანციო წიგნში მიღებულ ფულის კვიტანციის ტალონს მოახვევენ. დიდი ძებნის შემდეგ, როგორც იქნება მოახვევენ და ჩვენი მეწყალე-მეურმეც თავისუფალი ხდება, რამდენიმე ხნით, სანამ მესამეჯერ დიჭერენ ქუჩაზე. თავისუფალი ხდება, მაგრამ რადა ასეთ განთავისუფლებას, მას ეკარგვის არა მარტო სამი ოთხი დღე წელიწადში, არამედ მთელი თვის სამუშაო. ერთი დღის გაცდენით მას 20-30 მოსახლისას ვერ მიაქვს წყალი, რომელთა საკვებურს საზღვარი არა აქვს, ხშირათ ფულსაც უჭერენ და ზოგიერთი კიდევაც ითხოვს სრულიათ. და ეს სუფეველა ხდება ქალაქის კამეობის დაუდეგრობით, რაც უკვე წელს ანვარში, სმეტის დამტკიცების დროს ხმოსნებმა კიდევაც აღნიშნეს.

Porole.

ᲒᲣᲠᲘᲐ. როგორც გურიის მიდამოები უსწორ-მასწორია, ისე თვით მიწის ნაყოფიერებაც სხვა-და-სხვა ნაირია. აქ შეხვთებით მთა-გორებს, ვაკე-მინდერებს. ნაყოფიერების მხრით სახნავ-სათესი მიწები სამ რიგათ უნდა გავყოთ. პირველ რიგს ეკუთვნის ლანჩხუთის რაიონი, ანუ საბოქაულო, რომელზედაც მიწერილია სოფლები: საკვეახო, ნიგოითი, ლანჩხუთი, ჩიბათი, ჯურუყვეთი და ჩოჩხათი. იქ, სადაც ამ რამდენიმე წლის წინათ დაბურული, გაუვალი ტყე იყო და მრავალი ნადირი ბუდობდა, დღეს უმეტესი წილი გაჩეხილია და სახნავ-სათეს მიწათაა გადაქცეული. მთელი ეს ტყეები წინეთ მცხოვრებლების საერთო კუთვნილებას შეადგენდა, დღეს კი რაც განადგურებას გადარჩა, ისიც კერძო პირებმა მისაკუთრეს: ზოგს ხაზინა დაეპატრონა, ზოგიც ადგილობრივმა თავად-აზნაურობამ დაიუფლა. გლეხებს დარჩათ მხოლოთ ცოტა სახნავ-სათესი მიწა. ეს მიწა ჯერ კიდევ ნაყოფიერია, მაგრამ თანდა- თან კლებულობს და ახლო მომავალში სრულიათ გამოფიტდება. ეს ადვილი ახსნელია: მანამ ეს მიწები ტყით იყო დაფარული, მიწა ტყიდან ბევრ ნაკელს ღებულობდა და

ეს ნაკელი აკრავს მიწის ზედა პირს მხოლოთ 3-4 გოჯზე, ქვევით-კი-სიღრმეში ეს მიწები მომწვანო ტალახია, რომელსაც გურულათ „მიწანელას“ უწოდებენ, და ამიტომ ნაყოფიერების მხრით სრულიათ უვარგისია. ამნაირათ, როცა ზედა-პირზე არსებული ნაკელი, სინოყიერე, გამოელევა, მიწაც უნაყოფო ხდება, თუ ხელოვნურათ არ გაანოყიერეს. ღვინო და ხეხილი ამ სოფლებში სხვა სოფლებზე ბევრათ ნაკლები მოდის. ამისი მიზეზი მიწის სინოტივეს გარდა აღმოსავლეთის ქარია (ზენა ქარი), რომელიც ყოველ წლობით დიდ ზარალს აძლევს ქირნახულს, უმეტესათ კი ვენახს (ადესა) და ხეხილს, ოზურგეთის და ჩოხატაურის მხარეს კი აღმოსავლეთის ქარისაგან იფარავს ნიგოითის ქედი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხუთი სოფელი აკრავს რკინის გზას: მცხოვრებლებს უადვილდება როგორც მგზავრობა, აგრეთვე საქონლის გაგზავნა და მოტანა. სამაგიეროთ ასეთი მგზავრობის შედეგია ის სამწუხარო მოვლენა, რომელიც ადვილათ ვრცელდება აქაურ სოფლებში. ეს არის ვენერიული გადამდები სენი, რომელიც ქალაქებიდან სოფლებშიც ვრცელდება. საჭიროა აქედანვე მიექცეს ყურადღება ამ მეტათ სამწუხარო მოვლენას, თვარა ხალხის ჯანმრთელობას დიდი განსაცდელი მოელის.

მეორე რიგში ოზურგეთის რაიონი, ანუ გურიანთის საზოგადო, უნდა ჩავთვალოთ და მესამეში ჩოხატაურისა. მცხოვრებლებისთვის უმთავრეს წყაროს არსებობისათვის ვენახი (ადესა) და ხეხილი შეადგენს. ხეხილი: ვაშლი, მსხალი ცოტა მოყავთ და გააქვთ გასაყიდათ ფოთში ანუ რომელიმე მახლობელ რკინის გზის სადგურზე. ყურძენს აყენებენ ღვინოთ და ქაქისაგან არაყს ხდიან. ერთი ან ორი სოფელში იღებს ნება-რთვას სააქციზო სამართველოდან; ის დანარჩენი მეზობლებიდან ყიდულობს ქაჭას და ხდის არაყს. ასეთი წარმოება კია საშვალება იყო ღარიბი სოფლისათვის, მაგრამ ეს სახსარიც მოუსპეს მას. წელს სააქციზო მართველობამ ისეთი დიდი ბაჟი დაადო მწარმოებელს, რომ ეს უკანასკნელი იძულებული ხდება თავი დაანებოს მუშაობას, რადგან უკანასკნელი შრომის ფასიც პატენტში იხერჯება. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, სიმინდი ეს მცხოვრებლების უმთავრესი საზრდო, ძრიელ ცოტა მიდის. ასე, რომ თუ ლანჩხუთის რაიონში ცოტაა ისეთი ოჯახი, რომელიც საზრდო სიმინდს ყიდულობდეს, სამავივროთ ოზურგეთის და ჩოხატაურის რაიონში ბევრი ოჯახი სიმინდს ყიდულობს. აქ უმეტესი წილი სახნავსათესი მიწებისა უვარგისი „ეწერია“

საზოგადოთ გურიაში მიწის სივიწროვე ხალხის სიმრავლის გამო. გლეხებს მიწა ნაყიდი აქვთ მებატონესაგან. მებატონეების მამულის უმეტესი წილი აქაურ მკვიდრთ აქვთ შეძენილი, უმცირესი კი ბანკში დააგირავეს. არა-თუ სახნავსათესი, გლეხებმა მებატონეებისაგან ტყეებიც შეიძინეს. განსვენებულმა გრიგოლ გურიელმა ჯურუყვეთის და ჩიბათილს გლეხ-კაცობას თითქმის მუქთათ დაუთმო თავისი ტყე ამ ორ დაჩაში და სიცოცხლეშივე თავისი ხარჯით შეასრულა აქტი ნატარიული წესით. ამავე სოფლების გლეხობას მიყიდეს თავთავისი წილი ტყეებისა დანარჩენმა გურიელებმაც.

ახალი სახელმწიფო გადასახადის, მიწის გადასახადი სისტემას, თუმცა ძველ სისტემაზე გაცილებით უფრო სამართლიანია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერაა წესიერათ მოწყობილი. გადასახადი სამართლიანათ ვერაა განაწილებული, ბევრ მემამულეს მეტი აწერია, ზოგს კი ნაკლები; არ არის სისწორით შეფასებული მამული და იმისი შემოსავალი. ყველა ამაების სისწორეში მოყვანა ბევრ და ხანგრძლივ შრომას თხოულობდა და ამ საქმის შესახებ სამ-ოთხ კაცისაგან შემდგარ კომისიის ძალ-ღონეს სრულიათ აღემატებოდა. მოვიყვანოთ ერთ მაგალითს. ს. ებალაურში 71-კომლს შეწერილი აქვს 272-დესეტინაზე(?) 727 მან. 49 კაპ. ასე რომ თითო დესეტინას 2-მან. 67 კაპ. შეხვდა. თითო კომლს კი ერთა შუა-12 მანეთი 41 კაპ-დის. ჯერ მიწაც იმდენი არა აქვთ, რამდენიც აწერია, და მეორეთ განა დესეტინა ჩვენებურ მიწაზე 2 მან. 67 კაპ. ბევრი არ არის! ამას დაუმატოთ სხვა საზოგადო გადასახადიც: მასწავლებლის, მწერლის ჯამაგირი, ღვდლის და სხვა საზოგადო მოთხოვნილება, რომელიც თითო კომლს უწევს 10 მანეთამდის, და სულ 22-მანეთზე მეტი. დაუმატეთ სხვა აუცილებელი საჭიროებანი, რომელთაც თანამედროვე რთული ცხოვრება მოითხოვს და თქვენ აშკარათ დაინახავთ ჩვენებური გლეხ-კაცობის უკიდურეს მდგომარეობას. მიწის ბაჟების უწესოთ გაწერაზე მრავალი საჩივრებიც მიართვეს სადაც ჯერ იყო, მაგრამ იმათ გამოუცხადეს, რომ ეს გაწერა სამი წლის ვადით უკვე დამტკიცებულია და იმისი შეცვლა ამ ჟამათ ვადის შესრულებამდის მოუხერხებელია.

თუ გურულებს წინეთ ბევრათ უფრო უზრუნველი ცხოვრება ქონდათ, დღეს ცხოვრება გართულდა, ამასთანავე ბუნებაც გაღარიბდა, მარტო მიწიდან ვეღარ იკმაყოფილებს მრავალ გვარ მოთხოვნილობებს და ამიტომ იძულებულნი არიან სხვაგან ეძიონ ცხოვრების სახსარი. ხშირათ შეხვდებით რკინის გზის სადგურებზე სოფლელ მუშებს, რომელთაც აუკიდიათ ზურგზე თავიანთი ხაბაკ-ხუბაკი და ქალაქებში მიეშურებიან „სამუშაოთ“.

აზნაურობის უმეტესობაც გურიაში იმავე ეკონომიურ პირობებშია ჩაყენებული, როგორც გლეხობა, ისიც მუშაობს. აქ თითქმის სრულიათ ვერ პოვებთ იმ საზიზღარი ფეოდალიზმის ნაშთს, რომელიც სხვა ზოგიერთ ქვეყანაში კეთილდღეობას და წარმატებას აფერხებს. გურიაში რწამთ, რომ ადამიანი პირადი ღირსებით უფრო დაფასდება, ვინემ წოდებით. სწავლა-განათლების საქმეც გურიაში შედარებით უკეთ მიდის, ვიდრე სხვაგან. ყველა სოფელში არსდება ორ-კლასიანი სასწავლებელი, აქა-იქ სამკითხველოებიც არსებობს. ერთი სიტყვით ხალხი გამოფხიზლებულია და სიღარიბე სწავლისადმი მისწრაფებას ვერ უსუსტებს. მხოლოთ ზოგიერთ სოფელში სწავლის წინსვლელობას აფერხებს ჩვენებური საზოგადო სენი: გაზვიადებული, გაუწვრთნელი თავმოყვარეობა. ყველაფერში პირველობა სურთ და პირადი ინტერესის დასაცველათ საზოგადო საქმეს აფერხებენ.

ი. გორდელაძე.

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა.

ჩვენ მოგვივიდა 1900 წლის სრული ანგარიში ამ ამხანაგობისა. სამწუხაროთ, იგი სანუგეშო გარემოებას ვერ გადმოგვცემს: ამხანაგობას ხსენებულ წლის განმავლობაში 4931 მან. და 62 კაპ. წმინდა ზარალი ქონებია... ამის მიზეზათ ანგარიშში მოხსენებულია ფასების დაცემა ევროპის ბაზარზე, სადაც ამხანაგობას გაუტანია გასასაღებლათ თვისი საქონელი.

„ბაზარი აბრეშუმის პარკისთვის,—წერია ანგარიშში,—სანამ ჩვენში ძაფის ამომღები ქარხნები დაარსდებოდეს, არის საფრანგეთი და იტალია. იქაური ქარხნები პარკიდან ძაფს იღებენ და ამ ძაფს თითონაც ხმარობენ და საქსოვ ქარხნებში და მთელი ქვეყნის, ამერიკის, ინგლისის, ავსტრიის და თვით რუსეთის ფაბრიკებს აწვდიან. ჩვენი ქვეყნის პარკს ეზიდებიან საზღვარ-გარეთ სომხები და ბერძნები. ამხანაგობამაც საზღვარ-გარეთს შიმართა პარკის გასასაღებლათ 1898 წლიდან, მაგრამ, როგორც იქაური ხარჯების დასაფარავათ, ისე იქაური მუშტრების ყურადღების მისაქცევათ ანუ მოკლეთ რომ ვთქვათ, უკეთესი ბაზრის მოსაპოვებლათ, საჭიროა საქონლის არა მარტო რაოდენობა. პირველათ, 1898 წელს, ამხანაგობამ საზღვარ-გარეთ ათას ფუთამდის ხმელი პარკი გაგზავნა,

შემდეგ წელიწადს ორი ათასამდის. ხოლო სანგარიშო (1900) წელ. ამხანაგობამ საკომისიოთ გასაყიდათ წაიღო სხვა და სხვა ჩვენებური წვრილ მოვაჭრეთა პარკიც. სულ საზღვარ-გარეთ გაგზავნილი ხმელი პარკი ამხანაგობას შეუდგება ოთხი ათას ფუთამდის: ნაყიდი 2533 ფუთი და საკომისიო 1400 ფუთი. რომ საზოგადოთ პარკის ფასებს არ დაეცლო და ამხანაგობას მოლოდინი გამართლებოდა რამოდენადმე მაინც, მას იქაურ სახელთან აქ სახრავიც საკმაოთ მოუვიდოდა, მაგრამ, სწორეთ ამ დროს ფუთი პარკის ფასი წინანდელ 75—80 მანეთიდან 50—55 მანეთამდის ჩამოვიდა. წინა 1899 წელს საზღვარ-გარეთ პარკს კარგი ფასები ქონდა. ერთი კილო (ორნახევარ გირვანქამდის) პარკი იყიდებოდა თორმეტ ფრანკამდის (ოთხ მანეთ ნახევარი). თუმცა 1900 წლის დამდეგიდან პარკის ფასმა ნელ-ნელა იკლო და ივანობისთვეში კილო 9 ფრანკამდის ჩამოვიდა (წინანდელს მეოთხედი მოაკლდა), მაგრამ არავის ეგონა წინა წლის დაჩვეულებს, თუ ენკენისთვე-მწიფობისთვეში ფასები ისევ არ აიწეოდა და კილო 10–12 ფრანკათ არ გახდებოდა. ამი[...]ამ იყო, რომ აქ ივანობისთვეში ნედლი პარკი კარგ ფასებში იყიდებოდა. მაგრამ მოლოდინი მოლოდინათ დარჩა და 1900 წელმა აბრეშუმის მწარმოებლებს დიდი ზარალი მოუტანა. ამ წელმა თავიდან ბოლომდის აბრეშუმის ყოველგვარ ნაწარმოებს წინანდლის მესამედი ფასი მოაკლო. ფასების დავარდნა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ წინანდელთან შედარებით აბრეშუმეულის ხმარება შემცირდა. ამას კიდევ ომების ატეხას (ჩინეთში, აფრიკაში) აბრალებენ. ქსოვილების გაუსაღებლობის მეორე მიზეზათ ასახელებდენ მოდის ყინიანობას. მოდამ ბევრ გვარ ქსოვილებს გვერდი აუხვია. ამან გამოიწვია საქსოვი ქარხნების უმუშევრობა და ბევრის სამუდამოთ დახურვა. როცა 1900 წლის მოსავალს ფასი დაუვარდა, მეტი გზა არ იყო, რომ გამყიდველები მოთმინებით აღჭურვილიყვენ და დაეცადათ მოთხოვნილების გაძვირებისათვის. ამ მოლოდინში გავიდა იმ წლის შემოდგომა —ზამთარი და დადგა 1901 წელი. ამ წელს თან დაყვა აბრეშუმეულობის მოთხოვნილების გაძვირება. გამყიდველებსაც დიდი მოწყინდათ და რაკი ფასების მომატება მოუხერხებელი შეიქნა, არსებულ ფასებში გაუშვეს ხელიდან საქონელი. ამხანაგობის საქონელიც ამ დრომდის არ გაყიდულა. ესე იგი, მანამდის, სანამ არ დავინახეთ, რომ 1901 წლის ახალ მოსვლამდის ფასი აღარ შეიცვლებოდა. მაშინ კი ისიც შესაძლო იყო, რომ, თუ კარგი მოსავალი მოვიდოდა, კიდევ მოეკლო ფასს. ამიტომ მეტი ცდა მოუხერხებლათ მივვაჩნდა და საქონელი გავყიდეთ“.

რასაკვირველია, „ამხანაგობის“ გამგეობის ბრალი არაა, რომ ხსენებულ წელს ევროპაში პარკის ფასები დაცემულა. ამიტომ მას ვერავინ ეტყვის, საქონელი იქ რატომ უფრო ძვირათ და ამხანაგობისთვის მოსაგებათ ვერ გაყიდეო. მაგრამ ჩვენ გვგონია, იგი მჩატეთ და საქმეში ჩაუკვირვებლათ მოქცეულა, რომ იმდენი საქონელი საფრანგეთში წაუღია და წინდაწინ არც მყიდველი ყოლია აჩენილი და არც ასაღები ფასი გაგებული. ევროპაში საქონლის წაღებას დიდძალი ხარჯი ჭირდება, ხარჯი როგორც წაღების, ისე იქ შენახვის. ამიტომ იქ საქონლის წაღება, ქირით იქაურ საწყობში დალაგება და მუშტრისა და ფასების აწევისთვის დიდი ვერაფერი ჭკუა და გამჭრიახობაა. როცა იქ საქონელს წაიღებთ და მყიდველს მერე ეძებთ, ყოველგვარ შემთხვევითი მოვლენის მოლოდინე უნდა იყოთ. დიდი იქნება ფასები და,—რასაკვირველია, გაყიდით. დაეცემა ფასი და— მაშინაც იძულებული იქნებით გაყიდოთ, რადგან უკანვე წამოღებით კიდევ უფრო მეტ ზარალს ნახავთ.

ამიტომ საჭიროა, ამხანაგობამ ისე მოაწყოს გაყიდვის საქმე, რომ იგი მყიდველთან ფასზე გარიგებისა და პირობის შეკვრის შემდეგ გზავნიდეს საქონელს დანიშნულებისამებრ. მაშინ მას აქედანვე ეცოდინება, აგებს თუ იგებს. მაშინ მას შეეძლება სხვა-და-სხვა ადგილთა მყიდველების პირობები ერთმანეთს შეუფარდოს და თავისთვის საუმჯობესო ამოირჩიოს. და ამის მოწყობა, ჩვენ გვგონია, მოსახერხებელი უნდა იყოს. პარკს ევროპიელი მუშტარი იმის კვალობაზე ყიდულობს, თუ რამდენს იძლევა იგი ძაფს. პარკს „ანალიზს“ უშვრებიან და იგებენ მის ნაყოფიერობას [illegible] და ამის გაგება ხომ სანიმუშოთ გაგზავნილ პარკით[illegible] შიც რომ არ იყოს წინდაწინ გაგზავნილი, მყიდველისთვის მაშინაც არ არის პარკის ყიდვა „სარისკო“. იგი პირობებს უდებს გამყიდველს, პარკს ამდენი და ამდენი ძაფის ნაყოფიერობა უნდა ქონდესო, და ფასსაც ამის კვალობაზე აძლევს მას. პარკის ნიმუშებისთვის „ანალიზის“ მოხდენა მხოლოთ გამყიდველისათვის არის საჭირო, რომ მან იცოდეს, რამდენი ერგება ფასათ განსაზღვრულ წონის გამხმარ პარკში.

პარკისგან გამოსავალ ძაფის ნაყოფიერობაზე დიდი გავლენა აქვს ჭიის კარგათ მოვლას. კარგი მოვლილი ჭია კარგ და ნაყოფიერ პარკს აკეთებს. ეს დამტკიცებულია სტატისტიკურათაც. საფრანგეთში, მაგალითათ, 25 გრამ გრენისგან საშვალო რიცხვით მიუღიათ:

1879	წელს	10,50	კილო	პარკი
1885	„	25,71	„	„
1890	„	30,72	„	„
1891	„	29,21	„	„
1892	„	33,81	„	„
1893	„	44,38	„	„
1894	„	43,96	„	„
1895	„	43,78	„	„
1896	„	42,02	„	„
1897	„	39,02	„	„
1898	„	37,26	„	„
1899	„	38,22	„	„ *)

ამიტომ ამხანაგობის მეცადინეობის ერთ მთავარ საგანს უნდა შეადგენდეს ხალხში ჭიის მოვლის შესახებ მეტ ცოდნის და გამოცდილების გავრცელება.

ჩვენი აზრით საჭიროა, რომ ამხანაგობას თვისი წარმომადგენელი ყავდეს ევროპაში და ის ეწეოდეს მოლაპარაკებას საჭიროების დროს როგორც კომისიონერებთან, ისე პირდაპირ მყიდველებთან და უგდებდეს ყურს ფულის წესიერათ გადახდას საქონლის ამღებთაგან. ამხანაგობის საქმეები პატარა აღარაა. მისგან გასასაღებელ საქონლის ღირებულება 150 ათას მანეთამდის ადის წლიურათ.

1900 წელს საფრანგეთ-იტალიაში პარკის ფასების დაცემა არ არის იმის მაჩვენებელი, რომ ვითომ ამ ქვეყნებში მოწეული პარკი მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს და პარკის შეტანა იქ საჭირო არ იყოს. აი, ამის დამამტკიცებელი ციფრებიც, რომლებიც ჩვენ იმავე იურაშეკის სტატიიდგან ამოვიღეთ.

	საფრანგეთში შემოუტანიათ პარკი ათასი კილო.	საფრანგეთიდან გაუტანიათ პარკი ათასი კილო.	გატანილზე მეტი შეუტანიათ ათასი კილო.
1892 წელს	419	358	61
1893 „	1278	300	978
1894 „	732	252	480
1895 „	761	626	135
1896 „	1307	315	992
1897 „	1202	463	739
1898 „	1116	210	906
1899 „	2410	923	1487

იტალიაში შეუტანიათ მეტი, ვინემ გაუტანიათ:

1892	წელს	1383700	კილო	ხმელი პარკი
1893	„	882600	„	„
1894	„	1157700	„	„
1895	„	2004500	„	„
1896	„	1788600	„	„

*) იხ. Juraschek, Seide und Seidenindustrie.

1897	„	1522400	„	„
1898	„	1550800	„	„
1899	„	2197100	„	„

ამ სახით, როგორც ხედავთ, როგორც საფრანგეთში ისე იტალიაში უცხოეთიდან შეტანილ ჲარკის რაოდენობა თანდათან მატულობს. და ეს იმის მაჩვენებელია, რომ აბრეშუმის მოთხოვნილებაც ზრდასა და მატებაშია. ამიტომ ამხანაგობის წევრებს 1900 წლის ზარალმა გული არ უნდა გაუტეხოს და უიმედობაში არ უნდა ჩააგდოს. აბრეშუმის წარმოება ისეთი საქმეა, რომ მას დიდი მერმისი და წარმატება მოელის ჩვენში. ასეთ ჲირობებში მეაბრეშუმეთა ამხანაგობამ უნდა იხეიროს და გამაგრდეს, თუ იგი მეტი სიფრთხილით და დაკვირვებით გაუძღვება საქმეს.

ამხანაგობისთვის შემდეგში ზარალის თავიდან ასაცილებლათ ანგარიშის შემდგენელნი ერთ საშუალებას თვლიან საჭიროთ და სასურველათ. ეს ის საშუალებაა, რომ ჲარკის გამყიდველებმა ამხანაგობას ადგილობრივ მაზანდაზე დაკლებულ ფასათ მიცენ ჲარკი და ამხანაგობის მიერ გაყიდვის შემდეგ შეივსონ დანაკლისი. „საჭირო არის, რომ ისევ მწარმოებლებმა იგისრონ მოგება-ზარალიო“, ურია ანგარიშის ერთ ადგილას. ჩვენ კი ჩვენი მხრით არ გვგონია, რომ ამით რაიმე ძირითადი ცვლილება მოხდეს საქმეში. განა სულ ერთი არ არის ამხანაგობის წევრ-მწარმოებლებს ზარალი ერთათ, კოლექტიურათ მოუვათ თუ ცალ-ცალკე? ვთქვათ, ადგილობრივ ჲარკის ფასი ფუთზე 14 მან. არის. ამ ფასათ ყიდულობენ ვაჭრები. ამხანაგობა კი ღებულობს მწარმოებელთაგან 10 მანათათ და ჲირდება დანარჩენის მერე მიცემას, თუ ჲარკი სასურველ ფასებში გაყიდა. ვთქვათ ეს ასე არ მოხდა და მან ფუთში 12 მან. აიღო. აქ ამხანაგობა იტყვის: „ფუთზე ორი მანათი მოვიგეთო“. განა ეს მოგება იქნება? მწარმოებლებმა რომ იზარალეს, ის არაფერია? მართალია, ამნაირათ ამხანაგობას დაუბრუნდება დახარჯული ფული და ცოტა მეტიც, მაგრამ ეს მეტი მოგება არ იქნება, არამედ მწარმოებელთაგან აღებული იმ ჲირობით, რომ ისევ მათთვის დაებრუნებია საქონლის გაყიდვის შემდეგ. მოგება იქნება მხოლოთ ის, რასაც ადგილობრივ მაზანდაზე მეტათ გაყიდის ამხანაგობა და აქედან მას ხარჯების დაფარვის შემდეგ კიდევ დარჩება რამე.

1901 წლის 1 მარტისთვის ამხანაგობის ანგარიშები ასე გამოიხატებოდა: წილის ფული იყო 25187 მან. 86 კაპ., სათადარიგო თანხა 2567 მან.. ძირის თანხა 2567 მან., გადასატანი ფული 3767—80, ნასესხი 37381 მან. 61 კაპ., სულ 71471 მან. 27 კაპ., ზარალი 4931 მან. და 62 კაპ. უნდა დაიფაროს სათადარიგო და ძირის თანხით. დანარჩენის შესაფერი აქტივი აქვს ამხანაგობას.

Z.

მაწანწალა.

II

მისი ისტორია.

(მაქ. გორკისა).

(დასასრული)

აბა მაშ დავიწყოთ ისევ ჩვენი მოთხრობა, თორე ის ისე გვიგძელდება, როგორც პროცესია, რომელიც გძელი კუდივით მიდევს ხოლმე მიცვალებულს უკან. ამ შემთხვევაში კი მე მიჭირავს მიცვალებულის ადგილი. მაგრამ, ფუი! ეს რა სულელური შედარება წაეჩხირა ჩემს თავში. თუმცა კი, შეიძლება, ეს მართალიც იყოს... არა, რატომ არ უნდა ვისწავლოთ ჭკუა. ბატონ ბალზაკს სადღაც აქვს ერთი კარგი და მართალი აზრი: „ეს სისულელეა, როგორც ფაქტი“. სისულელეა? ჯანდაბას, იყოს სისულელე! არა, რათ მინდა მე რა განსხვავდა აქ სოფლისა და ქვეყნის შორის? ჰო, ასე ვცხოვრობ რადა აქ [illegible] ძი. ქალაქი ძაან კარგი ქალაქია, მაგრამ ორჯელ უკეთესი იქნებოდა, რომ მისი მცხოვრებთა ნახევარი რიცხვი დაიხჩოს ზღვაში, რომელიც მის ახლოს ღელავს. ვცხოვრობ და სულ ახალ-ახალი და სხვა-და-სხვა ნაირი მდგომარეობით, როგორც საზოგადოთ უნდა ცხოვრობდეს ადამიანი. მოვეწონე ერთ მანდილოსანს და ამიყვანა მან საცხოვრებლათ თავისთან. თქვენ არა დროს არ გიცდიათ ამგვარი მდგომარეობა? აბა ცადეთ, ცადეთ იმიტომ, რომ ეს ძრიელ საინტერესოა,— თქვენ ერთსა და იმავე დროს შეადგენთ ნივთს იმ ქალისას, და მეორე მხრივ კი მის ბრძანებელს. თქვენ გიყიდეს, როგორც სათამაშო, მაგრამ იმავე დროს კი თქვენვე ათამაშებთ მას. თქვენი მყიდველი თქვენ ხელში გიჭირავთ, და ის ამგვარათ ძრიელ სასაცილო მდგომარეობაშია, რადგან თქვენ მის წინ ყოველთვის თამაშობთ წოლის როლს, და თხოულობთ კი, რომ ეს წოლა შლიაპათ ატარონ. ჰო, ასე ვცხოვრობდი მე სამ წლამდე, ე. ი. ვცხოვრობდი მხიარულათ. მაგრამ უცებ ერთი ოპერას მაგვარი ისტორია შემემთხვა. ერთხელ ჩემთან მოვიდა ძრიელ კარგი კაცი, მაგრამ ცუდი საქმის მიმდევარი კი, რაღაც პოლიტიკას მიდევდა, რისთვისაც მას თავის დროზე და ძაან მაგრაც მოცხეს... მოვიდა და მეუბნება: პასპორტი მიშოვე! რანაირი? ვეკითხები მე. აი ასეთი, მაგალითათ, არის ქალი შავგვრემანი, ოცი წლისა, შუათანა ტანის დანარჩენი ყოველივე ჩვეულებრივი. რისთვის? რისთვის და მისთვის, რომ არის ერთი ამისთანა ქალი და მინდა კი, რომ ის არ იყოს, ამიტომ მე ის უნდა გავათხოვოო. რა მექნა? საქმე თავათაც ძრიელ მხიარული იყო. და ამასთანავე ჩემს მანდილოსანს სწორეთ ისეთი მოსამსახურე გოგო ეჭირა... გამოვართვი პასპორტი და გადავეცი იმ შარლატანს. კარგი და პატიოსანი, გადის კარგა დრო.

ბრავვან! და უცებ ერთ ღლეს შემოდიან ჩემთან ორი ჟანდარმი—მობძანდითო! მეც მივბძანდი. ერთი ასე ქალარშერთული და საკმაოთ მრისხანე მეკითხება: თქვენ ასეთი და ასეთი ქალისთვის პასპორტი მიგიციათ? ჭეშმარიტათ, თქვენო დიდათ კეთილშობილებავ, მაგრამ სწორეთ კი არ ვიცი რომელ ქალისთვის. როგორო? ჩემს მეგობარს დაავიწყდა ეთქვა ჩემთვის იმ ქალის სახელი და გვარი. სასტიკმა მსაჯულმა მე არ დამიჯერა. როგორო, მიეცით პასპორტი და არ კი იცით ვის? მე არ მიმიცია... მაშ ვინ? მე მივე აი ამასა და ამას. ეჰე, აი სად გაება! გმადლობთ ცნობებისათვის! მითხრა მან და უბრძანა დაეჭირათ ჩემი მეგობარი, ხოლო მე კი ერთ მყუდრო ადგილას მიმაბძანეს. ორი დღის შემდეგ მე და ჩემი მეგობარი პირისპირ გვალაპარაკეს. მან, რასაკვირველია, დაამტკიცა ჩემი ნათქვამი. საით გსურთ წახვიდეთ პეტერბურგიდამო, მკითხავენ —არ შეიძლება ცარსკი - სელოში მეთქი? არა ცოტა უფრო შორსო. რუსსაში? კიდევ შორსო. შევრიგდით ტულაზე. ტულაში და დე იყოს ტულაში მეთქი. თქვენაო, მითხრეს მათ, შეგიძლიათ შორსაც მიბძანდეთ, მაგრამ აქ კი სამი წლის განმავლობაში აღარ გამოცხადდეთო. თქვენ დოკუმენტებს ჯერჯერობით ჩვენ დავიტოვებთ სახსოვრათ და მანამდე კი აი ინებეთ სამოგზაურო მოწმობა, მიიღეთ ეს და ოცდა ოთხს საათში განშორდით პეტერბურგს. მთავრობას უნდა დაემორჩილო, ან რათ არ უნდა დაემორჩილო? მეც ასე მოვიქე!

მივყიდე ჩემი ავლა-დიდება ჩირის ფასათ სახლის პატრონს და წაველი ჩემს მანდილოსანთან. ძაღლმა! აღარ მიმიღო სახლში. შეველ კიდევ რამდენსამე ნაცნობთან და როგორც ჭირიანს ისე დამხვდენ. შევაფურთხე ყველას და გავემგზავრე ერთ კურთხეულ სახლში, რომ იქ გამეტარებინა უკანასკნელი ჩემი წუთები ქ. პიტერში ცხოვრებისა. დილის ექვს საათზე გამოველ იქიდან ცარიელი ჯიბეთი, წავაგე ბანქოში უკანასკნელ გროშამდე. ერთმა ჩინოვნიკმა ისე წესიერათ დამაცარიელა, რომ მე ალტაცებაშიაც კი მოველ მისი ხელოვნებით. აბა, ახლა საით? დავეკითხე ჩემ თავს და თვითონაც არ ვიცი რათ

გავწიე მოსკოვის ვოგზლისაკენ. მივიარ-მოვიარე და ვხედავ, რომ მატარებელი მოსკოვისაკენ მიემგზავრება. შეველი და დავჯექ. გავიარე ორი სადგური და მერე კი დიდი ტრიუმფით გამომაგდეს გარეთ. უნდოდათ ჩემთვის პროტოკოლი შეედგინათ. მკითხეს ვინაობა, მეც ჩემი პასპორტი უჩვენე. გასინჯეს ქაღალდი და მიმანებეს თავი. დავიწყე სიარული. გავიარე ასე ასი ვერსი და ვხედავ, რომ დავიღალე და მამშვიდა კიდეც. ვხედავ რკინის გზის საყარაულოს. შეველი ყარაულთან. მეგობარო, მომეცი პური! ამხედ-დამხედა და მერე მომცა არამც თუ პური, არამედ რძეც. იმ ღამეს იქ გავათენე, ეს იყო პირველი ღამე ჩემი მაწანწალობისა. მეძინა გარეთ, სუფთა ჰაერზე, თივის ძირში. გამოვიღვიძე დილით, ჰაერი შამპანიურს გავდა, მზე კამკამებდა, მწვანე, ფრინველები! გამოვართვი ყარაულს პური კიდევ და გავემგზავრე.

თქვენ უნდა გაიგოთ, რომ მაწანწალობაში რაღაც მიმზიდველობაა. სასიამოვნოა, როცა გრძნობ სრულ თავისუფლებას, სასიამოვნოა, როცა გრძნობ, რომ არა გაწუხებს რა, არა გაერთებს რა ხალხთან... იმისთანა წვრილმანი, რომელიც შემოგეხვევა გარს, და შენი სიცოცხლე ნეტარება კი არა, სიმწარეა ნაღვლით სავსე, მძიმე მოვალეობა... მაგალითათ, როგორც ტანისამოსის წესზე ჩაცმა... წესზე ლაპარაკი... სულ წესზე და არა ისე, როგორც შენ გინდა. შეხედები ნაცნობს წესი მოითხოვს უთხრა გაგიმარჯოს! და არა ჩაძაღლდი! როგორც ეს მაგალითათ გინდა ხოლმე ხშირათ, რომ უსურვო კეთილ ნაცნობს!

საზოგადოთ, მართალი უნდა გითხრა, რომ მთლათ ეს სულელური ურთი-ერთობა, რომელიც დამკვიდრდა ქალაქის მცხოვრებლებში, მოსაწყენი კომედიაა! კომედია და ისიც სამარცხვინო, იმისთვის, რომ პირში ერთმანეთს არავინ სულელს არ ეძახის... და თუ ასე მოხდა ხოლმე, ეს მხოლოთ იმ გულწრფელობის დროს, რომელსაც ბრაზს ეძახიან.

მაწანწალობაში კი მოშორებული ხარ ყველა ამ დავიდარაბას... როცა გრძნობ, რომ სრულებით შეუნანებლათ მიატოვე ყოველივე ცხოვრების ფუფუნება და უიმისოთა ცხოვრობ, რაღაც სიამოვნებით მაღლდები შენ თვალში. შენ თავს მაშინ უფრო მეტს უთმობ, თუმცა კი უნდა ვთქვა, რომ არა დროს არ ვექცეოდი სასტიკათ ჩემს სურვილებს, არ ვკიცხავდი და კბილები ჩემის სინდისისა არა დროს არა ჟუოდენ... ჩემს გულს არა ვკაწრავდი ჩემი გონების ფრჩხილებით. იცით მე, როგორღაც ჩემდა უნებურათ წავაწყდი ერთ უუმტკიცეს და უუბრძენეს აზრს: როგორც გინდა იცოცხლე—ბოლო მაინც სიკვდილია. არა, რათ უნდა მოვემდურო ჩემ თავს, რათ უნდა ვათრევდე ჩემ თავს მარცხნივ, როდესაც მთელი ჩემი ბუნება მიიწევს მარჯვნივ? მე მძულს ის ხალხი, რომელნიც შუა აპობენ თავის თავს. არა, რის გულისათვის ცდილობენ ასე? მე მილაპარაკია ამისთანა უბადრუკებათ. მეგობარო, კითხავ მას, რაზე იტანჯები, რას იწურები ოფლში? მივისწრაფი თვით—გაუმჯობესობისათვის... რისთვის, რის გულისათვის? როგორ თუ რისთვის? ადამიანის გაუმჯობესობაშია ცხოვრების აზრი... მე, სწორე მოგახსენოთ, ეს არ მესმის. მესმის მე, მაგალითათ, ხის გაუმჯობესობა—ეს ცხადია, მას იხმარებენ, საქმეში ურმის ღერძათ, ან კუბოს გააკეთებენ, ან არა სხვა რისთვინმე მოიხმარებენ. ეს კარგი: შენ გინდა გაუმჯობესობა—ეს შენი საქმეა; მაგრამ, ერთი მითხარ, ჩემგან რაღა გინდა, რათ მეწევი შენი სარწმუნოებისკენ. იმისთვინ, რომ შენ პირუტყვი ხარ და არ ეძებ ცხოვრებაში აზრსო. არა მე ვეძებე ის და ვიპოვე კიდეც, თუ პირუტყვი ვარ და ეს შეგნება მე არ მაწუხებს. სტყუით, თუ შენ იცი ეგ, უნდა ცდილობდე კიდეც გასწორებას. როგორ გასწორებას. მე ხომ ჩემ თავთან თანხმობითა ვცხოვრობ, ჭკუა და გრძნობა ჩემი სრული შეთანხმებული არიან, სიტყვა ჩემი და საქმე სრულ ჰარმონიას წარმოადგენენ. ესაო, მეუბნება, სისაძაგლეა, დაცინვაა... და ბჭობენ ასე, მე ვგრძნობ, რომ ისენი სტყუიან და სულელობენ, ვგრძნობ ამას და მეზიზღებიან. იმისთვის, რომ მე ვიცნობ ხალხს! დღეს, რომ ყველა სისაძაგლე, საზიზღრობა და სისულელე გამოაცხადო პატიოსნებათ, სიმართლეთ, ყველა ისინი ხვალვე ყოველსაღე ძალდაუტანებლათ გახდებიან პატიოსნათ, წმიდათ და კეთილათ. იმათ ამისთვის დასჭირდებათ მხოლოთ ის, რომ დაამარცხონ თავისი სიმხდალე...

სასტიკათა სჯიო, მეტყვით, დეე ასე იყოს, სამაგიეროთ ეს სიმართლეა! მე იმ აზრისა ვარ: ემსახურე ან ღმერთს, ან ეშმაკს, და არა ეშმაკსაც და ღმერთსაც. კარგი უსინდისო ყოველთვის ჯობია ცუდ პატიოსანს. არის თეთრი, არის შავიც, მაგრამ თუ ერთმანეთში აურიე გამოვა ტალახი. მე ჩემ სიცოცხლეში ეხვდებოდი მხოლოთ ცუდ პატიოსან ხალხს, ისეთ გვარებს, რომელთაც თვისი პატიოსნება ფანჯარიდან გადაყრილ ნაკუწებიდან შეუკოწიწებიათ. ეს ჭრელი პატიოსნებაა ცუდათ მიმაგრებული ერთმანეთზე აქა-იქ ნახვრეტებით. არის კიდევ ერთგვარი პატიოსნება ამოკითხული წიგნებიდან, ის ემსახურება კაცს, როგორც სადარბაზო შალვარი. საზოგადოთ უნდა ვთქვა, რომ ყველა კარგი კარგ ადამიანებს მომეტებულათ სამეჯლიშოთ და პირფერობითა აქვთ. ეს კარგი მათში კი არ არის, არამედ ზევიდან აკერიათ, სხვის საჩვენებლათ, ერთმანეთთან თავის მოსაწონებლათ. შემხვედრია მე კარგი ადამიანიც, მაგრამ იშვიათათ და ისიც მხოლოთ უბრალო ხალხში, ქალაქ გარეთ... იმათ მაშინვე იცნობ. ისენი ბუნებით იბადებიან ასეთები.

თუმცა კი უნდა ვთქვა, რომ ჯანდაბას ყველანი კარგნიცა და ავნიც! რა საქმემაქვს მე გეკუბასთან.

მე თქვენ ჩემს ცხოვრებას ძაან ზევზევით გიამბობთ, იქნება თქვენ კარგათ ვერც კი მიხვდეთ... მაგრამ ეს ჩემი საქმეა. ესეც უნდა ვთქვა, რომ საქმე ფაქტებში კი არ არის, არამედ იმაში თუ რა გუნებაზეა კაცი. ფაქტები... ეს სისულელეა! მე შემიძლიან რამდენიც გინდათ იმდენი ფაქტი მოვახდინო: ავიღებ დანას და გკრამთ სასულეში, ესეც შენი ფაქტი და ფაქტი სისხლის სამართალისა! ან არა და მე თვით ვიკრავ ამ დანას, ესეც ფაქტი იქნება. საზოგადოთ რა გვარიც გინდა, იმ ფაქტს მოახდენ, თუ გუნება ნებას მოგცემს. ყველაფერი გუნების განწყობილებაზეა. ესა ბადებს ფაქტს, აზრს... და იდიალებს... იდეალებს... და მერე იცით თქვენ, რა არის იდეალი? ხა, ხა, ეს ყავარჯენია, მოგონილი იმ დროს, როდესაც კაცი საძაგელ მხეცათ გადაიქცა და უკანა თათებზე დაიწყო ტარება. შედგა უკანა ფეხებზე და შეიხედა ზევით, დაინახა ლურჯი ცა და თვალთ დაუბნელდა ლაჟვარდი ფერისაგან. მაშინ მან სისულელით წამოიძახა—მე მივახწევ ცას. და აი იმ დროდან ის დაეთრევა ამ ყავარჯნით, თავს იმაგრებს მისი შემწეობით და დღემდე დადის უკანა თათებზე.

თქვენ კი ნუ გგონიათ, რომ მეც ცისკენ მივლოლავ... არა მე ამისთანა სურვილი არა დროს არა მქონია... მე ეს ისე ვთქვი რაღა, სიტყვის მასალათ.

მაგრამ ჩემ ისტორიას კი ისევ გუდასავით პირი მოეკრა. არა უშავს რა. ეს მხოლოთ რომანებშია, რომ ფაქტი ფაქტს რიგზე მიდევს ხოლმე, რაც შეეხება ცხოვრებას ის დახლართულია, უსწორ-მასწორი. ამას გარდა რომანებში ფულს აძლევენ და მე კი მუქთათ ვისჯები... ეშმაკმა იცის რისთვის!

ჰო, ასე მომეწონა მე ეს წანწალი, და მომეწონა მით უმეტეს, რომ მე მალე აღმოვაჩინე ამ წანწალში ცხოვრებისთვის საშუალებაც. მივდივარ ერთხელ და ვხედავ ჩემ წინ მინდორში სახლს, მალე შემოსულ ყანიდან პირის პირ შემეჩეჩენ სამი სათნოიანი სახე—ერთი კაცი და ორი ქალი. კაცი, ასე

ქალარ-შერთული კეთილი სახისა და სათვალეებით. ქალები კი რაღაც მომძიმო ტანისა, მაგრამ კეთილშობილნი. მე წამებულივით დავიპრანჭე სახე, დავუახლოვდი მათ და ვთხოვე მოეცათ ღამისთვის თავშესაფარი. მათ ნება მომცეს და თან ერთმანეთს შეხედეს. მე მდაბლათ თავი დავუკარი, მადლობა გადავუხადე და წაველი ნელი ნაბიჯით. ისენიც გამობრუნდენ. გამომყვენ უკან და დამიწყეს გამოკითხვა: ვინა ვარ, ვისი ვარ და სადაური. ისენი კეთილი ტემპერამენტის და ლიბერალური აზრების ხალხი იყო, პასუხის მიგებას თვით მიადვილებდენ, ასე რომ, როდესაც მე მათ ბინაზე მიველ, შევატყე, რომ საკმაოთ ბევრი ვიცრუე. ვითომც მე სწავლობ ხალხს და ვასწავლი მასვე, ვითომც მე ტყვეთა ვყევარ მაღალ იდეებს და სხვა ამისთანა... ღმერთმანი, ეს მოხდა იმიტომ, რომ მათ თითონ უნდოდათ, მე მხოლოთ არ ვეწინააღმდეგებოდი მათ სურვილს, მიეჩნიათ ჩემი თავი იმათ, რათაც თითონ უნდოდათ. როდესაც მე მოვიაზრე, რა ძნელი იყო იმ როლის თამაში, რომელიც მე უნდა მეთამაშა, ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. მაგრამ ვახშმის შემდეგ კი მე მივხვდი, რომ ამ როლის თამაშობა საინტერესოა, რადგან ვხედავდი, რომ ისენი ძრიელ გემრიელათ მიირთმევდენ. ჭამდენ ძრიელ გემრიელათ, ჭამდენ, როგორც განათლებული ხალხი. მერე მომცეს მე ცალკე ოთახი, შემმოსეს შალვრით და სხვა ტანისამოსით, ერთი სიტყვით კეთილათ მომექცენ. მაგრამ სამაგიეროთ ამისა მეც მიუშვი ჩემი ფანტაზიის ალვირს მათდა სასმენათ.

ღმერთო მოწყალეო, როგორა ვცრუობდი! რაა ხლესტაკოვი? ხლესტაკოვი იდიოტია! მე ვცრუობდი და არა დროს კი არ ვივიწყებდი, რომ ვცრუობ და ამავე დროს კი ვსტკბებოდი ჩემი სიცრუით. ისე ვცრუობდი, რომ თვით შავი ზღვაც კი გაწითლდებოდა, რომ გაეგონა ჩემი სიცრუე. კეთილი ხალხი მისმენდა მე, მიგდებდა ყურს და მკვებავდა, მიელიდა, როგორც საკუთარ ავათმყოფ ბავშვს. მე სამაგიეროთ ვთხზავდი. აი სად გამომადგა ის წიგნები, რომელიც მე ოდესმე წავიკითხე და მასთან კამათი ფარისევლებისა ჩემს ცოლთან!

ხერხიანი სიცრუე ერთი უმაღლესი ნეტარებათაგანია, გეტყვით მე თქვენ. როცა სტყუი და ხედავ, რომ სჯერათ, როგორღაც მაღლდები შენ იმ ხალხზე, და როდესაც ასე გრძნობ თავს ეს ერთი იშვიათი სიტკბოთაგანია. შენ მათი გრძნობაგონება დაპყრობილი გაქვს და თან კი ფიქრობ — სულელები! და როდესაც ასულელებ კაცს ყოველთვის გესიამოვნება. ესიამოვნება მასაც.

ტკბება, როდესაც ესმის სასიამოვნო ტყუილი. შეიძლება ყოველი ტყუილი კარგი იყოს, ან არა და ყოველი კარგი — ტყუილი იყოს. არა მგონია ქვეყანაზე იყოს რამ ისეთი საყურადღებო, როგორც სხვა-და-სხვა ოცნება, ბურანი და სხვა ამისთანა. მაგალითათ ავიღოთ ტყუილი. მე მიყვარს ქალში სწორეთ ის, რაც მათ არა აქვთ და რითაც მევე ჩვეულებრივ ვაჯილდოვებ ხოლმე მათ. ხედავ ქალს და ფიქრობ: მან უნდა ასეთი ჩახვევნა იცოდეს, ასეთი კოცნა, გახდილი ასეთი უნდა იყოს, ნამტირალი ასეთი და სიხარულში, აი ასეთი. მერე შენდა შეუმჩნევლათ დაარწმუნებ თავს, რომ ყველა ესენი იმას აქვს, და სწორეთ ისე, როგორც შენ გინდა. და რასაკვირველია, როდესაც გაიცნობ, რომ ის მართლა ისეთია, დიდის ამბით სჯდები გუბეში. მაგრამ ეს არაფერია, ხომ არ შეიძლება, რომ მოიძულო ცეცხლი იმისთვის, რომ ის ხანდისხან სწვამს, უნდა გახსოვდეს, რომ ის ათბობს კიდეც. ხომ ასეა? და ამისთვის არც ტყუილს უნდა უწოდო ცუდი და მავნევარი, არ უნდა ლანძღო და არ უნდა ამჯობინო მას სიმართლე. ხომ ჯერ არავინ იცის რა არის ეს სიმართლე, ხომ არავის უნახავს მისი პასპორტი — ვინ იცის რა გამოდგება ის, როდესაც დოკუმენტებს წარმოადგენს.

მე მგონი სოკრატივით ვფილოსოფოსობ იმის მაგიერ, რომ საქმე გავაკეთო.

ვატყუებდი ამ ბოროტ ხალხს, ვიდრე მქონდა ფანტაზია და მერე, როცა ვიგრძენ, რომ მე მათ მოვწყინდი, გავშორდი.

— სამოგზავროთ კარგათ მომაწყეს, და მეც მივაშურე მახლობელ სადგურს, რომ იქიდან მოსკოვში წავსულიყავ. მოსკოვიდან ტულაში მუქთათ ჩაველ კონდუქტორების გაუფრთხილებლობის გამო.

აჰა, მე უკვე ტულაში ვარ წინაშე იქაური პოლიცმეისტერისა. მიყურებს ის და მეკითხება:

— რა საქმეს უნდა მოკიდოთ თქვენ აქ ხელი?

— არ ვიცი, — ვუპასუხე მე.

— რისთვის გამოგისტუმრეს პეტერბურგიდან? მეკითხება ის კიდევ.

— არც ეგ ვიცი.

— ეჭვი არ არის, რამე დებოშის გამო, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში არ არის მოყვანილი, მეუბნება ის, თან ისე მიყურებს, თითქოს უნდა თვალები შიგ გულში გამიყაროს.

მაგრამ მე განუჭვრეტელი დავრჩი.

— არა ხართ კაი კაცი, — მითხრა მან.

— ყველას თავისი სპეციალური ხელობა აქვს, კარგო ბატონო!

იფიქრა, იფიქრა მან და ბოლოს მეუბნება: რადგანაცაო აქნობამდე თქვენვე ირჩევდით თქვენთვის საცხოვრებელ ადგილს, ამიტომ თუ ჩვენთან არ მოგწონთ, შეგიძლიათ გააგრძელოთ გზა, არის სხვა ქალაქებიც, მაგალითათ კურსკი, ორიოლი, სმოლენსკი... თქვენთვის ხომ სულ ერთია, სადაც უნდა ცხოვრობდეთ... თუ გსურთ, მე სამოგზავრო მოწმობას მოგცემთ? ჩვენთვის ძრიელ სასიამოვნო იქნება, რომ არ შევწუხდეთ თქვენის კეთილდღეობისათვის. ჩვენ ისედაც ბევრი საქმე გვაქს და თქვენ კი, უკაცრავათ არ ვიყვე, ისეთი კაცი ჩანხართ, რომ უფრო მოგვიმატებთ საქმეს... მე ასე მგონია რომ თქვენ განგებ ხართ ამისთვის დაბადებულიო. ასეა, მაგრამ აქაც მომწონს მეთქი, ვუპასუხე მე. გინდა საგზაოთ სამ მანეთს მოგცემ, შემომთავაზა პოლიცმეისტერმა. ძაან იაფათ აფასებთ მეთქი თქვენს შრომას, უკეთესი იქნება ნება დამრთოთ დავრჩე ტულის კანონთა მფარველობის ქვეშ. პოლიცმეისტერი გაჯიუტდა, ძაან მოხერხებული კაცი იყო. მეც გამოვართვი მას 15 მანეთი და გაუდექ ქალაქ სმოლენსკისაკენ. ხომ ხედავთ? კაცის ყოველგვარ ცუდ მდგომარეობაში შეიძლება ხშირათ კარგი რამეც იყოს. ამას მე მეუბნებით ჩემი მრავალგვარი გამოცდილებით და იმ ღრმა რწმენით, რომელიც დამიბადა მე კაცის მოქნილმა გონებამ. ჭკვა — ეს დიდი ძალაა. თქვენ ჯერ ყმაწვილი კაცი ხართ და აი მე გეუბნებით, რომ გწამდეთ ჭკუის ძალა და არა დროს არ წახდებით. იცოდეთ, რომ ყოველ ადამიანში ორი რამეა. სულელობა და ავაზაკობა. სისულელე მისი გრძნობაა, ხოლო ავაზაკობა მისი გონება. იმისთვინ არის სულელი, რომ არ შეუძლია ითვალთმაქცოს და განა შეიძლება უამისოთ ცხოვრება. უეჭველათ საჭიროა თვალთმაქცობა, თუნდა იმიტომაც, რომ ეს საჭიროა ხალხისთვის შესაბრალებლათ და ხალხი ხომ ყოველთვის ღირსია სიბრალულისა... მეტადრე კი მაშინ, როდესაც ისენი სხვებს იბრალებენ.

ასე, წაველ მე სმოლენსკში, ღრმათ დარწმუნებული, რომ ყოველთვის დამეხმარება ერთ მხრივ კეთილი ხალხი, მეორე მხრივ პოლიცია. პირველისთვის საჭირო ვარ მისი გრძნობის გასალიზიანებლათ, ხოლო მეორესთვის არა ვარ სა-

ქირო, ამიტომ ერთმაცა და მეორემაც უნდა მიშველოს მე შეძლებისა და გვარათ.

დიახ ასეა.

მივდივარ და მევე მომწონს ჩემი თავი. შეხედულება კარგი მაქვს. მხვდება წინ გლეხი და მიბამს შემდეგ საუბარს: ტრეპოვკაზე მალე გააკეთებენ გზას? მალე დაიწყებენ მუშების ქირაობას? მალე დაიწყობენ ბეის გამორთმევას, ან რეერთს გამოართმევენ კაცის თავს. მე მივხვდი რაშიაც იყო საქმე. ორ-ორ შაურს მეთქი. ეჰე! ჩაიცინა გლეხმა. საიდამა ხარ, შევეკითხე მე ჩემი მხრივ, რამდენი სულია თქვენ სოფელში? რამდენს შეუძლია სამუშაოზე გასვლა? რამდენია ცხენიანი, რამდენია ქვეითი. ის მე მიმიხვდა: წაიყვანეთ ხალხი ჩვენი სოფლიდანო. ჩემთვის კი სულ ერთი იყო, საიდანაც უნდა წამეყვანა. მეც გამოვართვი მათი სოფლის ხალხს ქვეითას ორი შაური და ცხენიანს კი ექვს-ექვსი, ეს ბე იყო იმისი, რომ ისინი სამუშაოზე უეჭველათ გამოვიდოდნენ. ავკრიფე ასე ათ თუმნამდე, მივეცი მათ ბარათი, ვუთხარ თბილ-თბილი სიტყვები და გავუდექ ჩემს გზას.

მიველ სმოლენსკში და რადგანაც უკვე აცივებული იყო, გადავწყვიტე იქ დამეზამთრა. მალე ვიპოვე კეთილი ხალხი და ვცხოვრობდი მოუწყენლათ. მაგრამ დადგა თუ არა გაზაფხული, მე ქალაქიდან გასვლა მომინდა. მომინდა მაწანწალობა... ვინ იყო ჩემი დამშლელი? წაველ და ხელ-ახლა დავიწყე თრევა, ზამთრისთვინ კი ქალაქ ეკატერინოგრადში ამოვყავ თავი. მივეხალ-მოვეხალე აქეთ-იქით და ვერ შევეწყე ვერაფერს. ბოლოს როგორც იყო ვიპოვე ჩემი გზა. შეველი ადგილობრივ გაზეთის რეპორტიორათ. საქმე პატარაა, მაგრამ თავისუფალი და ამასთანავე იძლევა ლუკმა პურსაც. მერე გავიცანი ადგილობრივი პოლკის იუნკერი და დავიწყე მასთან ბანქოს თამაშობა. ბანქოობაში გავიმარჯვე, ზამთრის განმავლობაში მოვიგე ას თუმნამდე. დადგა ხელ-ახლა გაზაფხული. მეც ფულები მქონდა.

საით წავიდე? ქალაქ სლავიანსკში წყლებზე. იქაც იღბლიანათა ვთამაშობდი ბანქო აგვისტომდე და ამავე თვეში იძულებული ვიყავ მიმეტოვებინა ის ადგილიც. ზამთარი გავატარე ჟიტომირში ერთ ქალთან, საკმაოთ საძაგელთან, მაგრამ ძაან ლამაზი კი იყო.

ასე გავატარე ჩემი ერთი წლის გაძევება პიტერიდან და მერე ხელ-ახლა იქითკენვე წაველ. ეშმაკმა იცის, რისთვის და ის ქალაქი კი მე ყოველთვის მიზიდავდა. ჩამოველ პეტერბურგში, როგორც ჯენტლმენი და ფულებითაც ჯიბეში. მოვძებნე ნაცნობები და რა აღმოჩნდა? აღმოჩნდა, რომ ჩემი ამბები მოსკოვის ლიბერალებს უკვე დაწვრილებით შეუტყვიათ. შეუტყვიათ, როგორ ვცხოვრობდი სამ კვირას ივანოვებთან და ჩემი მოცლილი ფანტაზიით ვბერავდი მათ, როგორ მოვექე პეტროვებს და როგორ ვაწყენინე ქ-ნ ვასილიევს. რაო მერე? მაშასადამე ეს ასეც უნდა მომხდარიყო. დაიხურა ჩემ წინ შვიდი კარი, გახსენი ათი სხვა... მაგრამ აქ კი ბედმა მიმუხთლა. ძაანა ვსცდილობდი მკვიდრი ნიადაგი მომეპოვებინა, მაგრამ არ შეიძლებოდა! ან მე დამეკარგა ამ სამი წლის განმავლობაში ნიჭი ხალხთან შეხებისა ან არა და ხალხი გახდა ამ სამ წელიწადს უფრო გაიძვერა, ვიდრე იყო. როცა ძაან და ძალიან გამიჭირდა, შემაცდინა ეშმაკმა და შეველ საიდუმლო პოლიციაში. მე ავირჩიე აგენტობა ბანქოს სათამაშო სახლებზე თვალ-ყურის დასაჭერათ. მიმიღეს. პირობა კარგი იყო. ამ საიდუმლო ხელობას ერთი ოფიციალურიც მიუმატე. დავიწყე რეპორტიორობა ერთ პაწია გაზეთში. ვაწოდებდი ქუჩის ქრონიკას, ხანდისხან ფელეტონებსაც ვწერდი ხოლმე... და ბანქოსაც ვთამაშობდი. ამ თამაშობამ ისე გამიტაცა, რომ მის შესახებ მთავრობას აღარას ვატყობინებდი. სრულებით გადამავიწყდა, რომ ეს ჩემი მოვალეობა იყო. როდესაც წავაგებდი, მომაგონდებოდა: ხომ უნდა ვაწყო მეთქი! მაგრამ არა, ჯერ ისევ მოვიგებ და მერე დავანებებ მეთქი. ასე ვაგვიანებდი ყოველ დღე, ვიდრე ერთხელ პოლიციამ თვით მევე არ მომასწრო ბანქოს თამაშობაში. რასაკვირველია, მე შემაჩვენეს იქავე ყველასთან, მეორე დღეს კი დამიძახეს, სადაც ჯერ არს, გამომიცხადეს ძრიელ სასტიკი საყვედური და შემდეგ გამისტუმრეს სატახტო ქალაქიდან, რომ აღარ შემეძლოს დავბრუნდე ათი წლის განმავლობაში. ექვსი წელიწადი დავმგზავრობ და, მადლობა ღმერთს, არ ვემდური ჩემ ბედს. როგორ გავატარემე ეს დრო, ამაზე არაფერს ვიტყვი. ის მეტათ ერთგვარი და მრავალფეროვანი იყო... საზოგადოთ ჩიტივით მხიარულათ ვცხოვრობდი, მხოლოთ ხანდიხან საკენკი მაკლდა ხოლმე. მაგრამ არც უნდა თხოულობდე მეტის მეტათ ბევრს, ვინაიდან ტახტის მახლობელნიც ხშირათ ვერ არიან კმაყოფილნი. ამისთანა ცხოვრებაში პირველი ის არის, რომ არავითარი ვალდებულება არ გაწევს, მეორეც ის რომ არარის არავითარი კანონი, გარდა ბუნების კანონისა. რასაკვირველია, ბატონი ურიადნიკები ხანდიხან შეწუხდებიან ხოლმე, მაგრამ თვით საუკეთესო სასტუმროშიაც არიან ხოლმე მკმენრები. სამაგიეროთ შენ ყოველ მხრივ გზა ხსნილი გაქვს: მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, საითაც კი გული გაგწევს და თუ არსაით არ მიგწევს გული, მაშინ გამოართვი გლეხს პური, ის კეთილია ყოველთვის მოგცემს და დაწექი გულაღმა, ვიდრეოდენ არ გაგწევს სურვილი საითმე.

ვინ იცის, სად არ ვიყავი? ვიყავ მაგალითათ ტოლსტოის კოლონიებში, ვიკვებე მოსკოვის ვაჭრის მანდილოსნებთან სამზარეულოში. ვცხოვრობდი კიევ-პეჩორის სავანეში და ახალ ათონში. ვიყავ ჩენსტოხოვში და მუროპში. ხანდიხან მე ასე მგონია, რომ რუსეთის იმპერიის ყოველ ბილიკს მეორეჯერ ვთელავ. ხანდიხან როცა მომინდება, რომ გარევანი რემონტი გაუკეთო ჩემ თავს ხოლმე, სამზღვარ გარეთისკენ! წაველ რუმინიაში და იქიდან კი ყოველი გზა ხსნილია. ეს იმიტომ, რომ რუსეთში მომეწყინება ხოლმე და მეორეც რაც მოსახერხებელი იყო, მე იქ უკვე მოვიქმედე.

მე ვფიქრობ, რომ ამ ექვსი თვის განმავლობაში ბევრი რამ მოვიქმედე. რამდენი საკვირველება დავბადე, რამდენი ფანტასტიური რამ ვილაპარაკე. მიხვალ, მაგალითათ, სოფელში, თხოვ თავშესაფარს, და როდესაც კარგა გაგაძღობენ, მიმართავ შენი ფანტაზიის სალამურს და ჰაიდა! ვინ იცის, იქნება რამე სექტაც დავაარსე, რადგან ხშირათ ვლაპარაკობდი ხოლმე სამღთო წერილიდან. გლეხი, ხომ იცით, როგორ უყურებს სამღთო წერილს; ორ სიტყვაზე იმისთანა ახალ სარწმუნოებასააშენებს, რომ შენი მოწონებული! მიწის ნადელებზე კიდევ ვინ იცის რა არ შევთხზე!.. ბევრი, ბევრი ფანტაზია ჩავღვარე ცარიელ სიცოცხლეში...

ვცხოვრობ ასე და ამ ნაირათ... ვცხოვრობ და მწამს, რომ თუ მე მოვინდომე სადმე საბოლოოთ დამკვიდრება, წინ არა მიდგა რა. ვინაიდან მე მაქვს გონება და მანდილოსნებსაც ვუყვარვარ. აი, წაველ ახლა ნიკოლაევში, მიველ იქ ერთ ნინიკოლაევის სალდათის ცოლთან. ის ლამაზი ქვრივია და მასთან შეძლებულიც. მიველ და ვეტყვი კაპოჩკა! აბა ერთი აბანო გაახურე! გამბანე, ჩამაცვი და მე ვიქნები შენთან საუკუნოთ. ის მაშინვე აასრულებს ჩემ სიტყვას. და თუ უჩემოთ იშოვა ვინმე საყვარელი გააგდებს, მე ვიცხოვრებ მასთან ერთ თვეს, ან რამდენიც ჩემი სურვილია. ამ სამი წლის წინათ მე მასთან დავიზამთრე ორი თვე... შარშან თითქმის სამი თვეც, დავრჩებოდი მთელ ზამთარსაც, რომ ის ჭკვიანი დედაკაცი იყოს და არ მწყინდებოდეს ხოლმე მასთან, მაგრამ იმას თა-

ვისი ბოსტნის გარდა, რომელიც წელიწადში ორას თუმანს აძლევს, არა ახსოვსრა.

შემიძლია წავიდე ლაბინსკის სტანციაშიაც. იქ არის ერთი კაზაკი, გვარათ პეტრე შავი, ის მე წმიდანათა მთვლის, ბევრი მთკლიან მე წმიდა ცხოვრების მიმდევრათ.

ბევრი მეტყვის ხოლმე: გამამართვი, კაცო ღვთისაო, ეს გრიშები და როდესაც წადგები ხატის წინ დაანთე სანთელი. მე ძრიელ ვაფასებ მართლმორწმუნეთ და არ მინდა მართალი სიტყვით ვაწყენინო, არ მინდა ვუთხრა, რომ მე იმ ფულით სანთელს კი არა, თუთუნს ვიყიდი ჩემთვის.

არის ერთნაირი სიმშვენიერე ხალხიდან განცალკევებაში, ბევრი სიტკბოა აგრეთვე მუდმივ ხიფათში და შიშში, აჰა, ან ეხლა გამომაშკარავებენ, ან ახლა მეთქი. ცხოვრება—თამაშია! მე პირდაპირ ვეგებები ყველაფერს და ყოველთვის მოგებული ვრჩები. არც მეშინიან რისამე წაგებისა, ოღონდ გვერდები კი მთელი შემრჩეს. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ მე ოდესმე მცემეს, არ კი დამასახიჩრებენ, არამედ მომკლავენ. ამაზე სამდურავი არ ითქმის და სისულელეც არის მეშინოდეს ამისი.

აჰა, ყმაწვილო კაცო, ესეც ჩემი ისტორია. გიამბეთ უბრალოთ კი არა, არა მაში ფილოსოფიაც იყო. იცით, მე მომწონს, რაც გიამბეთ? მე მგონი, საკმაოთაც გიამბეთ. შესაძლებელია მე აქ ბევრიც ვიცრუე, მაგრამ თუ ვიცრუებდი ისევ ფაქტებში. თქვენ ამას კი ნუ უყურებთ, ყურადღება იაქციეთ მოთხრობის აკინძვას, გარწმუნებთ, ის სრული სიმართლეა შეხამებული ჩემს სულთან. მე მოგეცით თქვენ შე მწვარი ფანტაზიიდან სრული სიმართლიდან გაკეთებულ საწებლით.

მაგრამ რისთვის გეუბნები მე ამას? იმისთვინ, ჩემო კარგო, რომ მე ვიცი, თქვენ ძლიერ ცოტას მერწმუნებით. თქვენ მაგიერ მე მიხარიან. ასე! ნუ, ნუ ერწმუნები ადამიანს! ეგნაიდგან როდესაც ის თავის თავზე გიამბობთ, ყოველთვის სტყუის. სტყუის, როდესაც თვის უბედურებას გიამბობთ, რომ უფრო მეტი გულ მტკივნეულობა გამოიწვიოს, სტყუის, როდესაც რამე თავის ბედნიერებას აგიწერთ, რათა უფრო მეტი ინტერესი გამოიწვიოს თავისადმი და თითქმის შურიც კი.

ი—ელი.

* * *

ჭეშმარიტების გამცემ-გამყიდველს,
თავ-თმა აბურძგვნილს, გაფითრებულსა,
ამბორის მყოფელს მოღალატობით
ვეკრეტ ძეწნის ხეზე დაკიდებულსა!..
სინათლეს, დევნილს სიბნელისაგან
და ერთჟამიერ ჩრდილ-მიყენებულს,
გამარჯვებისა ემბლემით ხელში
ვეკრეტ დიდებულათ გასხივოსნებულს!..
თან ხმა ჩამძახის მე იდუმალი:
„ეს საზოგადო წეს-კანონია—
მთა გოლგოთისა დიდებულ მიზნის
მისაღწეველი გზა და ფონია!..
მოღალატობა ძე-კაცთა შორის
თან-დაყოლილი ბოროტებაა,
მაგრამ ამასთან გწამდეს მტკიცედ,
რომ ბოლო მაინც გამარჯვებაა!“..
სულს მიფრთოვანებს ეს ხმა ციური,
ხმა სანეტარო და იდუმალი,
გულიც ბანს უთხრობს, რეკს ნეტარებით
და „ბიგ ლვიეჯება იმედი, ძალი!..

დ. თომაშვილი.

საზღვარგარეთ.

გერმანია. მკითხველებს ეხსომებათ, რომ ვრეუენის ... სასწავლებელში უწესობა მოხდა, რომლის მიზეზი ... მთავრობის მიერ შემოღებული წესები ბოდონელთა სასწავლებლებში. საქმე უმაღლეს სასამართლოს გადაეცა, რომელმაც ამ დღეებში უკვე დასდვა თვისი უკანასკნელი განჩინება. განჩინება მეტათ მკაცრი და უსამართლოა, როგორც გაზეთები იუწყებიან. სასამართლომ ძალიერ ცოტა დრო მოანდომა საქმის გარჩევას, ასე რომ მოსამართლეთ, ვიდრე საქმეს განიხილავდენ, უკვე გადაწყვეტილი ქონდათ განჩინება წინათვე. ვრეუენის სასამართლოს სასტიკი განაჩენი იმბერიის უმაღლესმა სასამართლომ თითქმის სავსებით დამტკიცა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ მხოლოთ ერთ დასჯილს შეუმსუბუქა დაპატიმრება ორი კვირით. საერთოთ დასჯილია ოცი კაცი. მათ შორის ქალებიც და ბავშვებიც, მიესაჯათ დაპატიმრება რამდენიმე წლიდან რამდენსამე თვემდე. და ეს მხოლოთ იმისთვის, რომ მშობლებმა თვისი შვილების კვნესას ბრუსიის მასწავლებლის რიზგებს ქვეშ ეურადღება მიაქციეს. ეს სასტიკი განაჩენი ბასუხი უნდა იყოს ბრუსიის მთავრობის მიერ იმაზე, რომ ვრეუენის ბრიტესმა საზიზღარი, მაგრამ სამართლიანი ჩირქი მოცხო გერმანიის მთავრობას ევროპის თვალში. მაგრამ არ უნდა გაგვიკვირდეს გერმანიის ჩინოვნიკების განაჩენი, თუ მხედველობაში მივიღებთ თითქმის ერთსა და იმავე დროს მოხდარ ფაქტს. ამავე დღეებში ერთ სადილზე გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი კარგა ხანს ელაპარაკა, თურმე ბროფესორს შიმანს, იმ ბროფესორს, რომელმაც სახელი მოიხადა ბოდონელ ბავშვების დაწიოკებით გაიქთვა. იმპერატორს გამოუთქვამს ის აზრი, რომ საჭიროა უსასტიკესი ზომების მიღება ბოდონელთა შესახებო.

ჩინეთი. სამხრეთ ჩინეთში ამბოხება თანდათან მწვავდება. მეამბოხენი ისეთსავე სისასტიკეს იჩენენ, როგორც ბოქსერები, რომლებმაც ამას წინეთ გაითქვეს სახელი. ამ ჟამთ მეამბოხეთა ხელშია ქალაქი ნანკინი, ინსურგენტებს დაუწყვეტიათ ტელეგრამის მავთულები.

თუმცა ბოგდიხანის ჯარი ავიწროებს მეამბოხეებს, მაგრამ მათ მაინც შეუნარჩუნებიათ თავისუფალი გზა ზღვისკენ, რომ ამერიკიდან შემოიტანონ იარაღი. კანტონელ მდიდრებს მეამბოხეთათვის მიუცია დიდძალი ფული გულის მოსაგებათ, რომ ვინიცობაა მათ გაიმარჯვეს, არ აიოხრონ კანტონიო.

საფრანგეთი. არჩევნები საზოგადოთ მშვიდობიანათ გათავდა, თუმცა ზოგიერთ ადგილს მოხდა შეტაკება. შედეგი არჩევნების შემდეგია: არჩეულნი არიან 566, ამათში სამინისტროს მომხრე—242, ოპოზიცია—151, ხელმეორეთ ასარჩევი არიან—173.

ინგლისი. სუფრანგეთის ერთი საგენტო, რომელიც ითვლება ბურების ოფიციალურ ორგანოთ, იტყობინება, რომ მოლაპარაკება მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე ბურებსა და ინგლისელებ შორის იმით გათავდა, რომ არც ერთი მხარე არ შეთანხმდა წარდგენილ პირობებზე.

ბურები თავის წინამძღოლთა პრეტორიიდან წასვლას იმ აზრს აწერენ, რომ მოლაპარაკება უკვე შეწყდა, თუმცა ინგლისელი გაზეთები ამ შემთხვევას სულ სხვა გვარათ ხსნიან. ისინი ამბობენ, რომ ბურების მოთავენი თანახმანი არიან მიიღონ ინგლისის მიერ წარდგენილი პირობანი, მაგრამ ისინი ჯერ უნდა მოელაპარაკონ თვის თანამემამულეებს, რომელნიც ამ ჟამთ ბრძოლის ველზე არიან გასულნიო. მაგრამ ეს სამართლეს მოკლებულია, მით უმეტეს, რომ ტრანსვალის და ორანჟეს რესპუბლიკის მთავრობა ჯერ არ მოლაპარაკებია ევროპაში მეოთ ბურების დელეგატებს, როგორც ეს იყო განზრახული წინეთ და როგორც მოიქცა შარშან ბოტა. ინგლისელი გაზეთები იმასაც ამბობენ, რომ ომის გათავების შესახებ პირველათ წინადადება ბურების მხრივ იყოვო. მაგრამ, როგორც იგივე საგენტო ამბობს, ბურების წინამძღოლთ წინადადება მიცეთ პირველათ ინგლისის მთავარ სარდალმა კიტჩენერმა. ეს შეეფერება

მათ გამოეთქვათ თავისი აზრი ჰოლანდიის პირველ მინისტრის კოიპერის წინადადებაზე ომის გათავების შესახებ. ბურების წინამძღოლებმა შემოუთვალეს, რომ მათ ამაზე ჯერჯერობით არ შეუძლიათ მიცენ გადაწყვეტილი პასუხი. კიტჩენერმა შალკ-ბურგერსა და რეიცს დაუთმო მატარებელი, რომლითაც გაემგზავრეს ისინი შტეინისა და ბოტას საპოვნელათ მათთან მოლაპარაკებისათვის. ამის შემდეგ ბურების ყველა სარდლები შეიყარნენ პრეტორიაში და წარუდგინეს თავისი პირობანი კიტჩენერს. აღმოჩნდა, რომ ინგლისისა და ბურების პირობანი ძლიერ შორი შორსაა და შეუთანხმებელია, ამიტომ ბურების სარდლებიც წავიდნენ პრეტორიიდან.

რუსეთის ცხოვრება.

საპატიმროთა უმთავრეს სამართველომ, როგორც იუწყება „სუდ. გაზ.“, მოახდინა განკარგულება, რომ საპატიმროებში ტუსაღები არ ამუშაონ იმ ხელობებზე, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთათვის შეადგენს უმთავრეს წყაროს ცხოვრებისას, არამედ ეცადონ ტუსაღებს აკეთებიონ ისეთი საქმე, რომელიც ადგილობრივ ჯერ არ არის განვითარებული.

— სენატის ახსნით, იმ ქარხნებს, რომელთაც წარმოება დროებით შეწყვიტეს, საერო გარდასახადი არ ეპატიებათ, ხოლო იმ ქარხნებს, რომლებშიაც მუშაობის შეწყვეტის გამო შეწყდა აგრეთვე მთლათ წარმოებაც, არ გამოერთმევათ ეს გადასახადი.

— ამ სამი წლის წინეთ ტავრიჩესკის საგუბერნიო ერობამ აღძრა შუამდგომლობა, რომ ნება დართულ იქნას სახალხო სამკითხველოებში ყველა ის წიგნები, რომლებიც რუსეთში დაბეჭდილია ცენზორის ნებართვით. ამ დღეებში საერო განათლების სამინისტროს უარი შემოუთვლია ამის შესახებ ზემოხსენებულ ერობისთვის.

წერილი ბელგიიდან.

ბელგიის ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტებთან არსებობს ცალკე ფაკულტეტი ტეხნიკურ მეცნიერებათა. (აქ ასწავლიან ყველა ტეხნიკურ სპეციალობას-ელექტრო-ტეხნიკა, მეხანიკა, სამთა-მადნო საქმე, შენობათა, გზების, ხიდების კეთება ანუ რასაც ჩვენში გზების და სამოქალაქო ინჟინერობას უძახიან, აქ ერთი სპეციალობაა construction civill. ლუვენის უნივერსიტეტში ასწავლიან აგრეთვე აგრონომიას. გარდა ამისა უნივერსიტეტების გარეშე არსებობს კიდევ შემდეგი უმაღლესი სასწავლებლები: ჟამბლუში აგრონომიული და სატყეო ინსტიტუტი; ანვერსში (ანტვერპენი) საკომერციო სასწავლებელი (ორი წლის კურსია); ლუვენში და გენტში ლუდის ხდის ინსტიტუტი, საიდანაც გამოდიან ლუდის მხდელი ინჟინერები; მონსში სამთა-მადნო და ელექტრო-ტეხნიკური ინსტიტუტი *)

საერთოთ, ტეხნიკური სწავლის საქმე გერმანიაში ბევრათ უკეთ არის დაყენებული, ვინემ აქ.

ბელგიაში საუკეთესოთ ითვლება ბრიუსელის და ლიეჟის (ლიუტიხი) უნივერსიტეტებთან არსებული ტეხ. მეც. ფაკულტეტები. ამ ორში პირველი უკეთესია თეორეტიული მხრით, მეორე პრაქტიკული. ამასთანავე ბრიუსელის უნივერსიტეტში ელექტრო-ტეხნიკის კურსი შემოკლებულია (საწყვრო), ლიეჟში სრულია. ელექტრო-ტეხნიკა და სამადნო საქმე კარგათ არის დაყენებული ქ. მონსში (ბრიუსელის ახლოა).

ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტებში (ბრიუსელში, ლიეჟში, გენში და ლუვენში) ტეხნიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შესასვლელათ ერთი და იგივე პირობებია. სახელდობრ შემდეგი: ვისაც მოეპოება საშვალო სასწავლებლის მოწმობა, (ამგვარათ ჩაითვლება მიწის მზომველთა სას.) — შესასვლელ ეგზამენებს თხოვენ შემდეგ საგნებიდან:

ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია (პირდაპირ ხაზიანი და სთერიული), ანალიტიური გეომეტრია, მოხაზულებითი გეომეტრია და ფიზიკა.

ამავე საგნებიდან უნდა დაიჭიროს შესასვლელი ეგზამენები და სხვებთან ერთათ გაიაროს სისტემატიურათ კურსი იმანაც, ვისაც უკვე უსწავლია ან კურ.ი დაუმთავრებია რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში; და თუ არსად უსწავლია, მაშინ, რასაკვირველია, ზედ-მეტი ეგზამენები საშვალო სასწავლებლის კურსიდან.

სწავლა გძელდება 4 ან 5 წელს, სპეციალობის მიხედვით. სწავლის ფულია წლიურათ 250 ფრანკი, ეგზამენებიც 100 ფრ. (წლის კურსი)

მონსის სასწავლებელში (Ecole de mines) უეგზამენოთ იღებენ, ვისაც საშვალო სასწავლებელი გაუთავებია, აქამდის მაინც ყველას იღებდენ უეგზამენოთ, ვინც კი რუსეთის საშვალო სასწავლებლის მოწმობით მოდიოდა. ეს წესები ჯერ არ შეცვლილა, თუმცა ხმა იყო, მისაღები ეგზამენები უნდა დააწესონ, მონსში სწავლის და ეგზამენების ფული 150 ფრანკია წლიურათ.

ყველა აქაურ სასწავლებლებში მხოლოთ ფრანგული ენაა საჭირო.

რამდენ ხანს შეიძლება ენის შესწავლა? ძნელი გამოსაცნობია... ძალიან ბევრია დამოკიდებული ნივთიერ მხარეზე. თუ ენა უკვე იცით თეორეტიულათ, თუ უკვე კითხულობთ წიგნებს ლექსიკონის საშვალებით, მაშინ სამიოდე თვეზე შეიძლებთ ლექციების მოსმენას.

აქ „სტუდენტურათ“, ე. ი. ღარიბულათ ცხოვრება შეიძლება თვეში 30 მანეთათ, 80 ფრ.**) ეს ხარჯი განაწილდება ამ გვარათ: 18 ფრ. ოთახი; 30 ფრ. სადილი, 20 ფრ. დილით და სალამოთ დანაყრება; 10 ფრ. წვრილი ხარჯი, სულ 80 ფრ. მაშასადამე ამ ანგარიშში არ შედის სწავლის ფული, წიგნების, გაზეთების, ტანისამოსის და სხვ. ხარჯი.

დასასრულ შევნიშნავ, რომ ჩემი აზრით, სასურველია ჩვენებური ახალ-გაზდა ევროპაში მოდიოდეს მხოლოთ მაშინ, როცა მას უკვე რუსეთში დაუმთავრებია სწავლა და ან ამაოთ უცდია იქ ბედი... კარგათ ვიცი, რომ ეს (ჯერ რუსეთში, მერე ევროპაში) ყველასათვის არ არის შესაძლებელი. მაგრამ ვისთვისაც კი შესაძლებელია, ის კარგს იზამს, თუ ასე მოიქცევა. რუსეთის სტუდენტურ წრეებს, რუსეთის უნივერსიტეტის ატმოსფერას დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს...

№-სა.

საშობლოს ცაზე.

(სააღდგომო ვიზიტები).

საშობლოს ციდან ისეთივე მანძილია საშობლოს მიწამდე, როგორც, მაგალითათ, შუბლიდან ცხვირამდე. მართალია, არის ცხვირი, რომელიც ზევით იყურება და არის ცხვირი, რომელიც ქვევით იცქირება, არის კიდევ ისეთი, რომელიც პირდაპირ სწორეთ არის გაფშეკილი და არის ისეთიც, რომელიც, რა მხრიდამაც უნდა შეხედო, ყოველმხრივ შენ მოგშტერებია... მაგრამ მათ შორის მანძილი მაინც ერთია... დიდი განსხვავება არ არის... ესეც ცხვირია, ისიც...: ესეც ხმარობს სახოცს, და ისიც მიირთმევს ბურნუთს, რომ რამდენიც დააცემინოს „ღვთის წყალობა“ მოახსენონ. მართალია, ზოგ-ზოგ ცხვირს „წყალობის“ მაგიერ „ღვთის ცეცხლს“ შეუთვლიან ხოლმე, მაგრამ ღმერთი სულგრძელია და... აპატიებს. მით უმეტეს, ამ ბედნიერ კვირაში, როდესაც ყველა წითელ კვერცხს აგორებს, ხომ მოგეხსენებათ, მაშინ ყველა გულკეთი-

*) ეწოდება (Ecole de mines), ვხმარობ სიტყვას ინსტიტუტი, რომ შკოლამ შეცდომაში არ შეგიყვანოთ.

**) ვილებ, რასაკვირველია, რუსეთელ სტუდენტის ბიუჯეტს; ბელგიელ სტუდენტის თვიურ ბიუჯეტის მინიმუმი კი 160 ფრანკია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია, ყველა კოცნის გუნებაზეა მომართული.

კაცი, მაგალითად, კაცია... ის წევს, თუ დგას განა სულ ერთი არ არის... საქმე ტალახია, ტალახი ე. ი. კუბო... რომ მკვდარი ხარ და კუბოში ძევხარ, ხომ სულ მკვდარი ხარ ისე, როგორც წესი და რიგი მოითხოვს, მაგრამ თუ ადექ განა ეს იმასა ნიშნავს, რომ კუბო მხრებიდან მოგცხსნა?!. დიახ, მკვდარი მკვდარია... განსხვავება მათ შორის მხოლოთ ის არის, რომ ზოგი ფეხზე დგას, და ისე კიდია კუბო, ზოგი კი წევს და მაინც კუბოშია... შეიძლება ერთსაც უნდოდეს ადგომა, მეორესაც, მაგრამ ამწევი თუ არავინ არი, რა ქნან რა... ერთი თქვენ მიპასუხეთ?!.

მე ცხვირებიდან დავიწყე და წითელ... კვერცხზე კი გადაველი! რას იქ გუნებაა... ეს მე მესურვებოდა, თორე არის სხვა ფერიც, რომელსაც სხვას ვუსურვებ. აი მაგალითად შავი... ღმერთმა ხომ იცის რომ არა მშურს... ჩვენ სამშობლოს აშენებელ კომერსანტთა დუქან-ბაზარში სუდარა მაინც რომ გადარჩენოდაც კოტრობის შემდეგ მანისავებდენ ის დალოცვილები და არც მე დავიშურებდი ცხვირებისთვის... მე ამშემთხვევაში ხელგულ გაშლილი კაცი ვარ. ისე გადავაკრავდი მათ ნისკარტზე, როგორც ფისი!..

ახა, ღმერთო ჩემო, მინდა მე ამბავს მოგიყვეთ და ახლა ამ „ფი!-მა“ არ შემაყენა! იცით რა არის ფისი? ქალების ვუალი!

არა, შეიძლება სხვა ვინმემ დაგჯაბნოს, დაგთხაროს თვალები, დაგაბრმაოს, მაგრამ ესენი რათ იბრმავებენ თვალებს თავისავე ნებით? ნუთუ ეშინიათ მზის, ან თფილისის ქუჩების პუდრისა? ხომ არც ერთი თხოვთ ფასს, არც მეორე? მაგრამ ღმერთმა უწყის მათი თავი!

მზე უნათებთ და იქნება იმას ერიდებიან? ერიდებიან იმიტომ, რომ სინათლეში უფსკრულსაცა ხედავ და უფსკრული, ხომ მოგეხსენებათ, პირდაღრენილი ჯოჯოხეთია; ჰე, ყველა ალბათ თავის სამშობლოს უფთხის, თორე მათ რა აქვთ საშიში, ჯოჯოხეთი ხომ მათი სამშობლოა! და თუ თფილისის ქუჩების პუდრს უფთხიან, მაშ რატომ არ ჩამოიწმენდავენ ტალახს?!.

აბა, მაშ ახლა დავიწყოთ ჩვენი ვიზიტობია.

დიახ, დიდი მანძილი არ გახლავთ სამშობლოს ციდან, სამშობლოს მიწამდე. აი, მაგალითად წარსულ კვირებში, რომ მთვარე დაბნელდა ხომ ყველამ შეამცნია დედამიწიდან, ვისაც კი „ყურნი ასხნიან“ და „თვალნი უხილიან“. ასე, რომ არც მე დამჭირებია იქიდან ჩამოკოგმანება და სწორეთ კაკალ ადგომა დღეს დავადგი ფეხი სამშობლო ნიადაგს. მართალია, ეს სამშობლოს ნიადაგი ცოტაოდნათ რყევაში იყო, მაგრამ ეს ხომ შემახისა და რაჭის ბრალია, სადაც ასე შეჯდომია მიწას ქვევიდან რაღაც უცუნა...

დიახ ჩამოვგოგმანდი დედა მიწაზე და როგორც იყო მოვიმაგრე ფეხი, ისე მოვიმაგრე, რომ მარტიდან ნასესხებმა აპრილის ქარიშხალმაც კი ველარ ამგლიჯა!...

ერთი სიტყვით გავმაგრდი... მაგრამ განა დაგაყვნებს ანგელოზი მოსვენებით?

აქ ერთი ცხვირი მისდევს წითელ კვერცხს და მიაფრატუნებს, იქ მეორე ცხვირი დასუნავს მას და გამოეკიდება... იქ მესამე უქნევს წიხლს, მაგრამ ვერ მოახვედრა და აუცდა...

ვიფიქრე მოდი მეც გავშლი მეთქი ფრთებს და შეუფრინდემომოუფრინდები სამშობლო დედა მიწას.

არა, რატომ არა, თუ კი ცხვირები იმდენსა კადრულობენ, რომ ნისკარტს ძირს იხრიან, და მეძაბარი ძალლივით ეძებენ სუნს, რატომ მე არ უნდა გავყვე მეთქი ამ წითელ კვერცხს, მით უმეტეს, რომ ასე, მომწონს და მიყვარს ფერი...

ეჰ, მიყვარს მეთქი, მაგრამ რავქნა? ვფიქრობ ჩემთვის... ახალ-ფერი თალლითი სალეპავია, რამეთუ მეწვრილმანის დუქანში იყიდება. ხოლო საკუთარი ქჩოდან შემელება. არ ეყოფოდა მას ეს სალებავი, თორემ ვინ პირშავი არ ... და ან თავს დაზოგავდა?!...

მეც მეტი რაღა დამრჩენოდა, ისე გაუდექ ვიზიტობის ბილიკს, როგორც ხელი შემეწყო. ბილიკს მეთქი იმისთვინ ვამბობ, რომ შარა... სიზმარში თუ მემელანდება!

ავყე, დავყე, მივიარე, მოვიარე და ვიქირავე ჯერ ყრაკი... რადგანაც შთაგონებით ვიცოდი, რომ უამისოთ დედამიწაზე ქვეყნიური არ იქნებოდი, არამედ მოსული ჯოჯოხეთიდან, რომელსაც დაუღრენია პირი სამყაროს გადასაყლაპავათ. შევიკაზმე, მოვირთე, ვიგალსტუკე სარკეს წინ და თითქმის უკანიდამაც, რადგან ზოგი სარკე უკან უფრო ბევრს ხედავს, ვიდრე წინ და გაუდექ ბილიკს...

მივაშურე, რასაკვირველია, პირველათ ჩემს ნაცნობებს.

ნუკი გაგიკვირდებათ და იტყვით, რომ ვინ ციდამ მოსული და ვინ მიწაზე ნაცნობიო? მე თავშივე გითხარით, რომ ჩემი ციდან (ყველა ეშმაკს თავისი სამყარო აქვს) დიდი მანძილი არ არის მეთქი სამშობლო მიწამდე.

დავიწყე ვიზატობა ისევ ცხვირებიდამ...

აბა რა ვიცოდი, რომ ჩემს სიარულში უკანაც ცხვირი მომდევდა!... მაგრამ ის ცხვირი კი, რომელთანაც მე ჩამოვკარ პირველი ზარი, სრულებით არ იფიქრებდა, რომ მე მასთან მივიდოდი... მართალია წინეთაც აღებ-მიცემობა მქონდა მასთან, მაგრამ ეს მხოლოთ შორიდან... ე. ი. „სამშობლოს ციდან“.

მე მას უგზავნიდი „გარცაცას“ და ისკი სამაგიეროთ მიგზავნიდა ისეთ, ისეთ ტკბილ რამეს, რომელიც, მხოლოთ მის პირს ატკბობდა და მე კი ძრიელ მემწარებოდა!...

— მობრძანდით! მიმიპატიჟა ერთმა ბატონმა, რომელსაც თურმე „შვეიცარს“ ეძახოდენ.

მეც მივბრძანდი, ე. ი. გადავაბიჯე ფეხები, მაგრამ ისე ავირიე-დავირიე, როგორც ის დახლაკნილი კიბე, რომელსაც მე შევუდექ. მართალია გული მაგრა მქონდა, მაგრამ მაინც მეშინოდა. მეშინოდა, თქვენა გგონიათ სხვა რისამე? არა, „აბა ერთი ორთაჭალას მნახეთ ვინა ვარ?“, სრულებითაც არა! მე მეშინოდა ჩვენი აღებ-მიცემობისა. მივდიოდი იმ დახლაკნილ კიბეზე და თან ვფიქრობდი: ჰა, რიგოლეტო, არ გაგიწყრეს ღმერთი და შენებურათ პირჯვარი არ დაიწერო, რომ ეშმაკები არ შეუშინო მეთქი.

უკანასკნელ კარებში მომეგება ერთი ფერია... აი ისეთი, როგორიც მხოლოთ ჭაობებში იბადება ხოლმე. იმანაც კარები გამიღო, თუმცა კი ისეთი თვალებით შემომხედა, რომ ადგომა, რომ არ ყოფილიყო იქავე დავწვებოდი.

ეს მე და ეს ვილაა?!

მოდი და ენდე ბედს?! არა მე სად მივდიოდი და სად ამოვყავ თავი?!

მე მივდიოდი ცხვირთან და თავი კი იცით სად ამოვყავ? პარიკმახერთან?

არა, შე ოხერო, ჩემო თავო, ვფიქრობ ჩემთვის, განა გაკრეჭვა გაკლდა, რომ აქ მოადექ?!

ეხ, მახლას, ბედია, რაღა, ბედი!

დიახ, პარიკმახერთან შევედი... ჩემ ნაცნობ პარიკმახერთან!

ჩხაკ... ჩხუკ... მღეროდნენ ფანჯრები... ჩხიკვ... ჩხართვ... დასძახოდნენ კარები. ბუ... ბუ... თრთოდა პარიკმახერის მკერდი. ე. ი. მიყურეთ, იცით მე ვინა ვარ, სხვადასხვა ვინმე კი არ გეგონოთ, მე პა...რიკ...მა...ხეირი გახლავართ. ისე ღმერთმა შენ მოგცეს „ხეირი“..., როგორც შენ ხეირი ხარ მეთქი, ვიფიქრე ჩემს გუნებაში და თან ტუჩი წავიკვნიტე... მეტი რა ღონე იყო?!. ისე ვიყავ გაკნაჭულ-გაპარსული, რო-

გორც შემოდგომის თხა! და იმასაც რომ სამართებელი კიდევ მოემარჯვა შენი მტერი ქალაც ზედ ამყვებოდა.

აი სწორეთ მეც ამ ქალის სამადლობელოთ შეველ... მასთან.

— გმადლობთ უფალო, რომელი დასწვდით ტვინსა და ქალა კი მაინც მთელი გვაქს! მივესალამე მე.

— ქრისტე აღზდგა!.. სულიერო ძმაო, მიპასუხა მან.

აქ კი მე თვითონ ამიდგა თმა ყალყზე, რამეთუ შევხედე მაკრატელსა მისსა.

მიმიპატიჟა... დავსხედით...

— მე... მე... ქრისტე აღზდგა მეთქი! მივაძახე შეშინებულმა და წამოვდექ. თან თავზე ხელი გადავისვი, რომ მეჩვენებინა მისთვის ჩემი მელოტობა, რათა არ მოემარჯვებინა მაკრატელი და ჩვეულებისამებრ თვისისა არ აეცურებინა თავის ქალაზე.

მასპინძელი ძრიელ ზრდილობიანი გამოდგა:

— გთხოვთ ინებოთ რამდენიმე გოდორი ნაკრეჭი.

მომთაეაზა მან და მეც მეტი რაღა დამრჩენოდა არ მეტვირთნა ტვირთი იგი, მით უმეტეს, რომ ვაპირებდი ვიზიტობიას ჩამოვლას სხვაგანაც და... ჩვენს რედაქციებში ხომ უეჭველათ შევიდოდი მსუქან პასკაზე, გაცქვლეფულ გოჯზე, თაეგატეხილ კვერცხებზე, ცარიელ ხონჩაზე და რა თქმა უნდა, არც მე უნდა დავრჩენილიყავ მათი მოვალე... მათთვის გამომატანა პარიკმახერმა ეს ნაკრეჭიც...

რიგოლეტო.

თავისუფლება ნებისა, თუ აუცილებლობა?

ფსიხოლოგიური ეტიუდი.

წერილი პირველი.

(გაგრძელება.— იხ. № 16).

გავსინჯოთ ახლა სხვა გვარი ასოციაცია. მზიანი დღე არის. თქვენ ბაღისაკენ გასეირნება მოგინდათ, გაუდექით გზას. მაგრამ, სანამ მიხვიდოდით, ცაზე შავი ღრუბელი შემოიკრიბა და ჩამობნელდა. სწორეთ წვიმა მოვაო, იტყვით ან გაიფიქრებთ თქვენ და ბრუნდებით სახლში. შავი ღრუბლის დანახვამ რათ გამოიწვია თქვენ გონებაში წვიმის წარმოდგენა? ამას გვიხსნის ერთი ფსიხოლოგიური კანონი: თუ ორი ან რამოდენიმე წარმოდგენა ყოველთვის ერთათ მიგვიღია, ერთი მათგანის აღდგენა ყოველთვის გამოიწვევს ხოლმე დანარჩენებსაც. რადგანაც შავი ღრუბლის დანახვას თქვენ მახსოვრობაში უმეტესათ წვიმის დანახვაც მალე მოდევდა ხოლმე, ამიტომ წვიმისა და ღრუბლის წარმოდგენანი ერთათ ჩარჩენ თქვენ გონებაში; საკმარისია შავი ღრუბელი დანახოთ, რომ მაშინათვე წვიმა მოგაგონდეთ, ან ღრუბელი მოგაგონდეთ, რომ მან წვიმის მოგონებაც გამოიწვიოს. სპენსერს თავის ფსიხოლოგიაში მოყავს ერთი საუცხოო მაგალითი: მოხუც ნასალდათარს პური მიქონდა; ერთბაშათ მას შემოესმა: „წყნარათ“, ნასალდათარმა მაშინათვე ხელები ძირს ჩამოუშვა, გასწორდა და პური კი ხელიდან გაუვარდა. რათ დაემართა მას ასეთი საქმე? სამსახურში ვარჯიშობის დროს გაიგონებდა თუ არა აფიცრისაგან „წყნარათ“-ს, მაშინათვე გასწორდებოდა და ხელებს ძირს ჩამოუშვებდა; ამ გვარათ ეს სმენელობითი წარმოდგენა სხვა სალდათებთან ერთათ ვარჯიშობა და სწორეთ გაჩერება მის გონებაში ერთათ იყო შეერთებული. აღიძრა თუ არა სმენელობითი წარმოდგენა, ნასალდათარის სურვილის დაუკითხავათ გაიღვიძეს ყველა მასთან შეერთებულმა წარმოდგენებმა; ვარჯიშობამ ჯარში, აფიცერმა, სწორე გაჩერებამ და სხვ. ყოველივე ამას კი ზემოხსენებული შედეგი მოყვა. რა ფიზიოლოგიური სარჩული აქვს ყოველივე ამას? ერთი წარმოდგენა რათ იწვევს უსათუოთ იმათ, რომლებიც წინეთ მასთან ერთათ აღიბეჭდებოდენ ხოლმე ჩვენ გონებაში? ვთქვათ, ღრუბლის წარმოდგენა იბადებოდა უჯრედში—ა, წვიმის კი უჯრედში—ბ. წარმოდგენის აღძრა ყოველთვის აღიზიანებს როგორც იმის უჯრედს, ისე იმ ნერვებს, რომლებიც ამ უჯრედან იწყებიან ან აქ თავდებიან. ა და ბ-დან მრავალი ნერვები იწყებიან მაგრამ მათ შორის არის აბ, რომელიც ამ ორ უჯრედს ერთმანეთთან აერთებს. ვთქვათ სულ პირველათ დაინახეთ ღრუბელი, ამ გრძნობელობამ გააღიზიანა უჯრედი—ა, რომლიდანაც ეს გაღიზიანება გადაეცა მის ნერვებს და მათ შორის აბ—ს; მალე დაინახეთ წვიმა; ამ გრძნობელობამ გააღიზიანა უჯრედი—ბ, რომლის გაღიზიანება გადაეცა მის ნერვებს და მათ შორის აბ—ს. როგორც მკითხველი ხედავს ამ მაგალითიდან ორი უჯრედის ა და ბ—ს გაღიზიანების დროს თვითოეული ამ უჯრედების ნერვები მხოლოთ ერთხელ ღიზიანდებიან, ხოლო ერთი ნერვი აბ, რომელიც ამ ორ უჯრედს ერთმანეთთან აკავშირებს, ორჯელ ღიზიანდება. როდესაც ასეთი გაღიზიანება ხშირათ მეორდება, ე. ი. როდესაც ხშირათ დაინახავთ ღრუბელს ცაზე და მასთან ერთათ წვიმას, თქვენ ტვინში ამას ის შედეგი მოყვება, რომ ნერვი აბ უფრო ხშირათ ღიზიანდება, ვიდრე დანარჩენი ნერვები და ზემოხსენებული ფიზიოლოგიური კანონით როდესაც ა—ში აღდგება ღრუბლის სურათი, ეს გაღიზიანება აბ-ზე გაწევს, რადგანაც ეს ნერვი უფრო მიჩვეულია ამ გაღიზიანების გატარებას, გადაეცემა ბ-ს და გამოიწვევს მასში წვიმის წარმოდგენას. ასეთ ასოციაციას ეწოდება გარეგანი ასოციაცია. ჩვენს მაგალითში ორი წარმოდგენა იყო, მაგრამ ისეთი ასოციაცია რომ აიღოთ, სადაც ბევრი წარმოდგენა მოქმედებს, მათი გამოწვევაც დამოკიდებული იქნება მათი უჯრედების შემაერთებელი ნერვების თვისებაზე, როგორც ამ მაგალითში. გარეგანი ასოციაციაც, როგორც დავინახეთ, ზემოხსენებულ ფიზიოლოგიურ კანონს ექვემდებარება. ერთი აღძრული წარმოდგენა ყოველთვის იწვევს იმ წარმოდგენებს, რომლებთანაც ერთათ ჩასახულა წინეთ და აქ ცალიერი აუცილებლობა მოქმედებს და არა რაიმე ნება, რასაც ცხადათ ამტკიცებს ნასალდათარის მაგალითი. ყველა ეს ასოციაციები, რომელთა მაგალითიც აქმოვიყვანე, უბრალო ანუ მარტივი ასოციაციები არიან. ზემოხსენებულ ასოციაციაში იყო ორი წარმოდგენა: ღრუბელი და წვიმა, მოქმედებდა ორი უჯრედი: ა და ბ. დიდი ადამიანის აზროვნებაში კი უმთავრესი ალაგი რთულ ასოციაციებს უჭავიათ, ე. ი. ისეთებს, სადაც ბევრი წარმოდგენა ურევია და რამოდენიმე ნერვის უჯრედები. ყოველ მკითხველს უეჭველია გამოცდილი ექნება შემდეგი მოვლენა: როდესაც ჩვენ გონებაში რაიმე მიზეზისა გამო ერთი წარმოდგენა იღვიძებს, მასთან მოდევს რამოდენიმე სხვა; მეორეთ გაღვიძებაზე იგივე წარმოდგენა სულ სხვა წარმოდგენებს იწვევს, ვიდრე პირველათ. მაგალითათ, მოგაგონდათ ის სასწავლებელი, სადაც თქვენ სწავლობდით, ეს მოგონება ერთხელ იწვევს თქვენ გონებაში მასწავლებლების წარმოდგენას, მეორეთ ამხანაგებისას, მესამეთ ის უსიამოვნებანი, რომლებიც ამ სასწავლებელში გამოიცდიათ და სხვ. ეს მოვლენა ჩვენი აზროვნების ძირითად თვისებას შეადგენს: ერთი და იგივე წარმოდგენა სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა პირობებში სხვა-და-სხვა წარმოდგენებს იწვევს მეხსიერებაში. ეს მოვლენა პირველის მიხედვით ეწინააღმდეგება ზემოხსენებულ კანონს, რომლის ძალითაც ყოველი გაღიზიანება ერთი უჯრედიდან იმ ნერვით გასწევს სხვა უჯრედისაკენ, რომელსაც უფრო ხშირათ გაუტარებია ეს ან მის მზგავსი გაღიზიანება. ამ კანონის ძალით, ერთმა გრძნობელობამ ან წარმოდგენამ ყოველ დროს და ყოველ შემთხვევაში უნდა გამოიწვიოს ერთი და იგივე წარმოდგენა, ან თუ რამოდენიმე ზარმოდგენას იწვევს, ეს წარმოდგენანი ყოველთვ

ერ...ი და იმავე რიგით უნდა აღდგენ ჩვენს გონებაში. თავისი თავის დაკვირვება კი გვიმტკიცებს, რომ ნამდვილათ ეს სრულებითაც არ ხდება ასე. რა მიზეზია, რომ ერთსა და იმავე წარმოდგენას სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა წარმოდგენანი მოყვება ხოლმე? ასოციაციის ასეთი თვისების ასახსნელათ ვუნდტმა შექნა აპერცეპციის თეორია, რომელიც დღესაც გავრცელებულია გერმანიაში. ამ თეორიით ჩვენ გონებაში არის ერთგვარი ფაქტორი—აპერცეპცია, რომელიც განაგებს ასოციაციებს. ეს აპერცეპცია ხან ერთ წარმოდგენას აღძრავს, ხან მეორეს, ხან მესამეს და ამგვარათ განაგებს ჩვენ აზროვნებას. მკითხველი ხედავს, რომ ვუნდტის აპერცეპცია იგივეა, რასაც ჩვეულებრივათ თავისუფალ ნებას უწოდებენ. ამგვარი ახსნა სულიერი ცხოვრებისა იგივე აუხსნელობა არის; რადგანაც ვუნდტი აქსიომათ თვლის მას, რასაც დამტკიცება სჭირია. ვუნდტის აზრით აპერცეპციის ალაგი არის თავის ტვინის ქერქის შუბლის ნაწილი, მაგრამ მრავალმა ცდამ დღეს აშკარათ ჰყო, რომ თავის ტვინის ამ ნაწილში არავითარი აპერცეპცია არ არსებობს: მაიმუნს რომ ამოჭრათ ეს ალაგი, იმის აზროვნებასა და მოქმედებას ამით არაფერი არ აკლდება და, თუ მაიმუნს არა აქვს აქ არავითარი აპერცეპცია, აშკარაა, არც ადამიანს ექნება. ფიზიოლოგიური ფსიხოლოგია სრულებით უარყოფს აპერცეპციას, ის უამისოთ ხსნის რთულ ასოციაციებს. წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ თავში დაიბადა წარმოდგენა ა, ამ წარმოდგენის უჯრედი ნერვებით უერთდება სხვა უჯრედებს, სადაც არიან წარმოდგენანი ბ, გ, დ, ე, ვ. და სხვ. ამ წარმოდგენათა შორის ზოგიერთი უფრო ხშირათ მეორდებოდა ა-სთან ერთათ და ამიტომ უკვე ცნობილი კანონის მიხედვით უმალ ესენი უნდა გამოიწვიოს ა-მ; ამ გარემოების გარდა მნიშვნელობა აქვს წარმოდგენის სიცხოველეს. ვთქვათ, ამ წარმოდგენათა შორის ბ ყველაზე ხშირათ მეორდებოდა ა-სთან ერთათ, მაგრამ მას აქეთ დიდ დროს გაუვლია, ამ დროსა განმავლობაში ბ თავის სიცხოველეს დაკარგავდა და ამიტომ ა-ს ბ-ზე უმალ მოყვება სხვა წარმოდგენა, რომელიც თუმცა იმდენჯერ არ გამეორებულა ა-სთან ერთათ, როგორც ბ, მაგრამ უკანასკნელზე უფრო ცხოველია. სიცხოველეს გარდა ასოციაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს გრძნობელობითი ტონს. რა არის გრძნობელობითი ტონი? თუ თავს დავანებებთ იმ მცირეოდენ ჯგუფს გრძნობელობისას, რომელთა მიღების დროსაც ჩვენ არავითარ სიამოვნებას ან უსიამოვნებას არა ვგრძნობთ, დანარჩენებში ზოგი გრძნობელობა ჩვენ სიამოვნებას გვძენს, ზოგი უსიამოვნებას. აგრეთვე წარმოდგენანიც ზოგი საამოა ჩვენთვის, ზოგი კი უსიამო. როგორც სიამოვნება, ისე უსიამოვნება თავისი სიძლიერით მრავალგვარია. წარმოდგენათა და გრძნობელობათა ასეთ ორგვარ თვისებას ეწოდება გრძნობელობითი ტონი. სუსტი გრძნობელობითი ტონი სუსტ ცვლილებას ახდენს უჯრედებში და ნერვში, ძლიერი კი უფრო ძლიერს, აქედან თავის თავათ ცხადია, რომ ის წარმოდგენანი, რომლებსაც უფრო ძლიერი გრძნობელობითი ტონი აქეთ, უფრო მალე გაიღვიძებენ, ვიდრე დანარჩენნი. წარმოდგენათა უჯრედები შეერთებული არიან ნერვებით. თუ აღიზიანდა ერთათ ორი უჯრედი, ეს აღიზიანება მათ შუა ნერვს გადაეცემა და ეს ორი გაღიზიანება ან აძლიერებს ერთმანეთს, ან ასუსტებს და სრულებით სპობს. თუ ორივე გაღიზიანება ერთგვარია, მაშინ აძლიერებენ ერთმანეთს, თუ სხვა-და-სხვა გვარი, მაშინ ასუსტებენ; ორი სხვა-და-სხვა გვარი, მაგრამ ერთნაირი ძალის გაღიზიანება ერთი მეორეს სრულებით აქრობს. ანალოგიურ კანონს ჩვენ ვხედავთ აკუსტიკაში: როცა ხმის ორი ტალღა ერთმანეთს შეხვდება, ისინი ხან აძლიერებენ ერთი-მეორეს, ხან სრულებით სპობენ ან ასუსტებენ. ამ კანონს ასოციაციაშიცა აქვს ალაგი; ორ უჯრედში გაჩდა წარმოდგენა, ბ-ში და გ-ში; ამ უჯრედებიდან გაღიზიანება ნერვს გადაეცემა და ან გაძლიერდება, ან სრულებით მისუსტდება ისე, რომ ის სხვა წარმოდგენებს ველარ გამოიწვევ[illegible] შემთხვევაში, პირველში კი ბევრს გამოიწვევ[illegible] ძლიერებული გაღიზიანება ბევრ სხვა უჯრედებსაც გააღიზიანებს. ამიტომ როდესაც უჯრედ ა-ში აღძრული წარმოდგენა აშლის წარმოდგენებს ბ-ში, გ, დ, ე-ში და სხვ. უკანასკნელი წარმოდგენანი—ზოგნი ასუსტებენ ერთმანეთს, ზოგნი აძლიერებენ და, რასაკვირველია, გაძლიერებული წარმოდგენანი უმალ შემოაღებენ ჩვენი შემეცნების კარს, ვიდრე დასუსტებულნი. ამგვარათ ის ფიზიოლოგიური და ფსიხოლოგიური კანონები, რომლებიც ზემოთ დავასახელე, წარმოადგენენ ზოგად კანონებს და მათ მოქმედებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბევრი წვრილმანი ფაქტორები ცვლიან, როგორც წარმოდგენათა ტონი, სიცხოველე, წარმოდგენების მიერ ერთიმეორის დასუსტება და გაძლიერება და სხვ. ყოველი ამ ფაქტორთაგანი და განსაკუთრებით უკანასკნელი სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა არის და აქედან ადვილი გასაგებია ჩვენი სულიერი ცხოვრების მრავალფეროვნებაც. ყოველ აზროვნებას, რა განყენებულიც უნდა იყოს ის, სარჩულათ იდეათა ასოციაცია უდევს, იდეათა ასოციაცია ექვემდებარება აუცილებელ კანონებს, მაგრამ თუ ეს კანონები ყოველთვის ნათლათ არა ჩანან, იმიტომ რომ მათ მოქმედებაში ბევრი სხვა წვრილმანი ფაქტორი ერევა ხოლმე, მაგრამ ამ ფაქტორებსაც საკმაოთ გვიხსნიან ნერვებისა და მათი უჯრედების თვისებანი. ამიტომ ადამიანის ყოველგვარი აზროვნება მხოლოთ აუცილებელ კანონებს ექვემდებარება: გარეგანი გრძნობელობა, ჩვენი წარმოდგენანი, ზემოხსენებული კანონები და ფაქტორები წინდაწინვე განმარტავენ, როგორი უნდა იყოს ყოველ შემთხვევაში ჩვენი აზროვნება და მისი შეცვლა არავითარ ნებას არ შეუძლია. თუ ჩვენც მაინცა და მაინც გვგონია, ვითომ აზროვნებაში თავისუფალი ნება ერიოს, უმთავრესათ იმიტომ, რომ ყოველგვარი აზროვნების დროს ჩვენ არ გვავიწყდება ჩვენი საკუთარი „მე“, ყოველთვის თან დაგვდევს ის აზრი, რომ ამას „მე“ ვფიქრობ, ამას „მე“ ვგრძნობ, ეს „მე“ მინდა და სხვ., და ამ „მე“-ს განუშორებლობა ბადავს ჩვენში იმ ილუზიას, თითქოს ჩვენი აზროვნება ჩვენი საკუთარი ნების ყურმოჭრილი ყმა იყოს.

ადამიანის აზროვნებაში ნების გავლენა იმდენათ არ გვეჩვენება, რამდენათაც ჩვენ მოქმედებაში. ყოველგვარ მოქმედებას ადამიანი თავისუფალ ნებას აწერს. ამიტომ მივმართოთ ახლა ადამიანის მოქმედებას და დავინახოთ, აქაც აუცილებლობის ულმობელი კანონი მოქმედებს თუ თავისუფალი ნება. ამ წერილის ერთ ალაგას მე მოხსენებული მქონდა რეფლექსი და ავტომატიური მოძრაობა. მათ ძირითად თვისებას ის შეადგენს, რომ ისინი აუცილებელი მოძრაობანი არიან; თუ არსებობს გარედან მიღებული გაღიზიანება ნერვისა, ამ გაღიზიანებას აუცილებლათ მოდევს კუთების რეფლექტორული და ავტომატიური მოძრაობაც. რეფლექსი და ავტომატიური მოძრაობა ცხოველის ტვინში არ იწვევენ არავითარ ფსიხიურ პროცესს,—ორივე ეს მოძრაობა სრულებით მატერიალური არიან. ავტომატიური მოძრაობა ნელანელა განვითარდა რეფლექსიდან, მაგრამ უნაკლულო არც ავტომატიური მოძრაობაა; გარეშე ცხოვრება რთულია, მასში მრავალგვარი მიზეზები მოქმედებენ, ავტომატიური მოძრაობა კი იმდენათ სრული არ არის, რომ რთული გარეშე მიზეზების გავლენას შეეგუოს. ამიტომ საჭირო იყო ავტომატიური მოძრაობის განვითარება, ასეთი განვითარება გამოიწვია არსებობისათვის ბრძოლამ და ის ნელანელა განამტკიცა ბუნებრივმა შერჩევამ და მემკვიდრეობამ. ცხოველი არსების ტვინში ნელანელა გაჩდენ ისეთი უჯ-

რედები, რომლებიც ინახავდენ წარსული შთაბეჭდილების კვალს; ასეთი უჯრედები ადამიანში გადიქცევიან წარმოდგენის უჯრედებათ. ყოველი ისეთი გაღიზიანების დროს, რომელმაც რეფლექსი ან ავტომატიური მოძრაობა უნდა გამოიწვიოს, წარმოდგენის უჯრედებიც გაღიზიანდებიან ხოლმე, წამოაყენებენ სხვა-და-სხვა წარმოდგენებს და მათი მიხედვით საჭიროებისამებრ ცვლიან მრავალგვარათ ამ მოძრაობას. რაკი მოძრაობაში წარმოდგენანი ჩაერიენ, მოძრაობა კარგავს რეფლექსისა და ავტომატიური მოძრაობის ხასიათს და იქცევა აზრიან მოძრაობათ ანუ მოქმედებათ. აქედან ცხადია, მოქმედება იმით განირჩევა რეფლექსისა და ავტომატიური მოძრაობისაგან, რომ უკანასკნელთ თან არ მოდევს არავითარი ფსიხიური პროცესი ანუ წარმოდგენათა გაღვიძება, პირველი კი წარმოდგენათა გაღვიძებას იწვევს. წარმოდგენათა ჩარევა არა ცვლის მოქმედების ძირითად ხასიათს, მოქმედება ისევ აუცილებელ მატერიალურ პროცესათ რჩება, ხოლო წარმოდგენათა აღძვრას შეუძლია მისი მრავალგვარათ შეცვლა. შეგვიძლია მოქმედება დავახასიათოთ, როგორც რეფლექსი იდეათა, ასსოციაცია. რეფლექსი აუცილებელი მატერიალური პროცესია, იდეათა ასსოციაციაც აუცილებელი ფსიხიური პროცესი, როგორც უკვე დავინახეთ, ამიტომ მოქმედებაც აუცილებელი ფსიხოფიზიკური პროცესია და რეფლექსისა და ავტომატიური მოძრაობისაგან მით განირჩევა, რომ რეფლექსს შეცვლა არ შეუძლია, ავტომატიურ მოძრაობას შეუძლია მცირეოდენი შეცვლა, მოქმედებას კი ფსიხიური ელემენტის მიმატების წყალობით მრავალგვარი და რთული ცვალებადობა შეუძლია. მივმართოთ ახლა მაგალითს. ავიღოთ მარტივი მოქმედება; თქვენ შეხვედით მწიფე ვენახში, დაინახეთ მწიფე მტევანი, წახვედით იქითკენ, გაუწოდეთ ხელი და მოწყვიტეთ. თქვენი წასვლა და ხელის გაშვერა არის აზრიანი მოძრაობა ანუ მოქმედება. გავანაწილოთ ეს მოქმედება თავის ელემენტებათ; ყურძნის დანახვამ გააღიზიანა თქვენი თვალების ნერვები, ეს გაღიზიანება გადაეცა გრძნობელობის უჯრედებს და დაიბადა გრძნობელობა: თქვენ ხედავთ მწიფე ყურძნის მტევანს. ყოველი გრძნობელობა ადამიანის ტვინში კვალს ტოვებს, რაც შეადგენს წარმოდგენას. მიღებულმა გრძნობელობამ თქვენში აღძრა შესაფერი წარმოდგენა ყურძნისა, მისი გემოსი, გაგახსენდათ, რომ წინეთ გიჭამიათ და სხვ. თავის ტვინში გრძნობელობის უჯრედები ერთი მხრით უერთდებიან წარმოდგენის უჯრედებს, მეორე მხრით მოძრაობის უჯრედებს. წარმოდგენის უჯრედებიც ასევე უერთდებიან ერთი მხრით გრძნობელობის უჯრედებს, მეორე მხრით მოძრაობის უჯრედებს. გრძნობელობამ ამ შემთხვევაში აღძრა თქვენში მრავალი წარმოდგენანი: ყურძნის, მისი გემოსი. თქვენ მიერ წინეთ მისი მოწყვეტის, ჭამის და სხვ. ყველა ეს ერთათ შეადგენს იდეათა ასსოციაციას; ყველა ეს წარმოდგენანი ერთათ აღძვრის დროს ან დაასუსტებენ ერთი მეორეს, ან გააძლიერებენ, ზოგი ამ წარმოდგენათაგანი უფრო ცხოველი იქნება, ზოგი არა და ამგვარათ უფრო ცხოველი და ძლიერი წარმოდგენა გადაეცემა მოძრაობის ნერვს და გამოიწვევს თქვენ მოქმედებას. ამ შემთხვევაში ყურძნისა და მისი გემოს წარმოდგენა გაგონებთ მხოლოთ სიამოვნებას, ამ წარმოდგენას ხშირათ გამოუწვევია თქვენში შესაფერი მოძრაობა, ამ მოძრაობის წარმოდგენაც იღვიძებს თქვენში, ყველა ეს წარმოდგენანი ერთნაირი ტონის არიან, ერთმანეთს აძლიერებენ, მათში არ არის ისეთი წარმოდგენა, რომელიც დანარჩენებს ეწინააღმდეგებოდეს და ამიტომაც თქვენი მოქმედება აუცილებლათ დაიბადა. თქვენ კი ასე გგონიათ, ვითომ აქ სრულებით თავისუფალი ნების მიხედვით მოქმედებდეთ.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

წერილი რედაქციის მიმართ.

თუ ჩაუკვირდით ჩვენს ვითომდა მოღვაწეთა [illegible], რომელთაც მოღვაწეობათ მიაჩნიათ მარტო მჭერ-მეტყველება [illegible] მოჩენა რომელიმე სასარგებლო საქმეზე სჯა-ბაასის დროს და თუ ის საქმე განხორციელების გზაზე დადგა, მაშინ ის მჭერ-მეტყველნი ყურს იერუებენ და საქმით არ ანხორციელებენ მას, რასაც მათი მჭერ-მეტყველური ენა და კალამი ღაღადებდა. ამ გვარი სენი „ვითომდა მოღვაწეთა“ სასაცილო რომ არ იყვეს, სამწუხაროა. მართალია, კარგი მჭერ-მეტყველი საზოგადოებისათვის ისევე საჭიროა, როგორც კარგი მოსაქმე საზოგადო საქმეებისა; მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, ჩვენი მჭერ-მეტყველნი ვერ იჩენენ იმ გვარ მჭერ-მეტყველურ ძალას, რომელმაც შეიძლოს ჩვენ გულ-ცივ საზოგადოებაზე რამე გავლენა იქონიოს, ამისათვის საჭიროა ლაპარაკთან ერთათ საქმითაც ადასრულონ ნალაპარაკევი.

ზემო-მოყვანილ შენიშვნის დასამტკიცებლათ შესაძლებელია ბევრ-გვარი მაგალითების მოყვანა, მაგრამ აქ მივაქცევ მკითხველის ყურადღებას მხოლოთ ერთ შემთხვევას. წლევანდელ წ. კ. გ. ს. წევრთა კრებაზე ბევრმა უსაყვედურა გამგეობას უმოქმედობა და სხვათა შორის მიუთითა მაზე, რომ გამგეობა არ ცდილობს სახალხო წიგნების დაბეჭვდისათვის, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩვენი ხალხის წინ-სვლისათვისაო. ამ საჭიროებაზე ჩვენ ჟურნალ-გაზეთებშიაც ბევრი წერილია დაბეჭდილი, მაგრამ საქმის განხორციელებას კი ვერაფრით ვერ მოხერხთა. თუმცა ბევრი წიგნი იბეჭდება კერძო-პირებ-საზოგადოებებისაგან, მაგრამ ჩვენდა სავალალოთ, ამ გამოცემებში ვერაფერს ახალს, გონების გასანვითარებელს საუნჯეს ვერა ჰპოვებს მკითხველი. მარტო მათაც რომ დაეწყოთ ეს სასიკეთო საქმე, რომელნიც სახალხო წიგნების ბეჭვდის მომხრენი არიან სიტყვით თუ კალმით, უთუოთ განხორციელდებოდა, მაგრამ უბედურება ეს არის, რომ მათ არ სურთ საქმითაც ისინი იყვნენ, რანიც ენით და კალმით არიან.

სადგურ ქვლახიდან საახალწლოთ გაიგზავნა რამდენიმე მანათი (იხილ. „წერილი რედაქციის მიმართ“ კვალი № 1) და თანაც შემწირველნი ემუდარებოდნენ თანამოაზრეთ, რათა მათაც თავიანთი წვლილი გამოეღოთ ამ სასარგებლო საქმისათვის, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ეს მოლოდინი გაუცრუვდათ მათ და ერთმაც არ გაიმეტა რამდენიმე მანეთი, რომ ეს სასარგებლო საქმე განხორციელებულიყო. ნუ თუ ყურადღების ღირსი არ იყო იმ პირთაგან მაინც, რომელნიც ღაღადებდენ სახალხო წიგნების საჭიროებას?! ამისთანა შემთხვევების შემდეგ რაღა ძალა-გავლენა ექნებათ საზოგადოებაზე მჭერ-მეტყველობას და კალამს?!

რათა სასიკეთო საქმე განხორციელდეს ამისათვის სააღდგომოთ მილოცვ-მოლოცვის მაგიერ ვგზავნით ოცდა სამ მან., რომელიც მიემატოს საახალწლოთ შეგროვილ ფულს და კვალის რედაქციასა ვთხოვთ, უთუოთ გამოცეს ამ თანხით რამოდენა წიგნაკის დაბეჭვდაც შეიძლებოდეს და თუ თანამოაზრენი ყურს გაიბერტყავენ და თავიანთ წვლილსაც მიუმატებენ უკვე შეგროვილ ფულს, რასაკვირველია, „კვალის“ რედაქცია დიდი სიამოვნებით მიიღებს, რომელსაც შეძლება მიეცემა საუკეთესო ვრცელი წიგნი გამოცეს. კ. ჩიქოვანი, ვ. თვალაძე, ჰ. მეძმარიაშვილი, გ. გრიგოლია, მ. გრიგოლაშვილი ვ. ალასანიძე, ჰ. შვაჩენკო, ნ. შათირიშვილი, დ. ანჯაფარიძე, ვ. გურული, ს. უზნაძე, გ. მესხი, ა. ანჯაფარიძე, მ. კავსაძე, გ. ობოლაძე, კ. კანდელაკი, თ. შენგელია და ია. ფა-ლი.

სადგ. ქვლახი.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 20 апрѣля 1902г.

სტამბა კ. ი. მარტიროსიანცისა, ორბელიანოვის ქუჩა, 1—2